ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ანა ჩაჩხიანი

საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე

მოდული: საერთაშორისო ბიზნესი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ხათუნა ბერიშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი მეტად აქტუალურია, რადგანაც საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო სავაჭრო პოტენციალის განსაზღვრას.

საქართველოს ეკონომიკის ზრდისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია არსებული და პოტენციური შესაძლებლობების შესწავლა და მათი მაქსიმალური გამოყენება, საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების სტიმულირებითა და მხარდაჭერით. ჩვენს ქვეყანას აქვს დიდი საექსპორტო რესურსი, რომლის გამოყენება საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნაშრომის კვლევის ძირითადი მიზანია გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსისა და სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის შესწავლა.

ნაშრომში განხილულია საექსპორტო პოტენციალის გაზრდასთან დაკავშირებული საკითხების ფართე სპექტრი, გაანალიზებულია ექსპორტის განვითარების კანონზომიერებები და თანამედროვე მდგომარეობა, ასევე განხილულია სახელმწიფოს როლი საგარეო ვაჭრობის რეგულირების სფეროში.

Annotation

The Impact of Georgia's foreign trade potential in developing county's economic

Ana Chachkhiani

Master's thesis is very important, as development of Georgia's economy is of great importance to determine Georgia's foreign trade potential.

It has a great importance for the growth of Georgia's economy to learn existing and potential opportunities and maximizing their use, by stimulating and supporting the fields owing export potential. Our country has a large export resourses, which could be the key in resolving our economical difficulties.

The main goal of the research is to analyze the balance sheet and commodity structure of Georgia, study the export potential of country.

The thesis discusse a wide range of issues related to the increase of export potential. Analyzes

Extent of export development and current state and also the role of government in regulation

Ans stimulating of foreign trade.

სარჩევი

შესავალი 5

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობის განსაზღვრის თეორიული ასპექტები 7

1.1. საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობა და თეორიის ძირითადი კონცეფციები..... 7

1.2 საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში..... 11

1.3 სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობის რეგულირებაში 13

1.4. საქართველო თანამედროვე გლობალურ სივრცეში 17

თავი 2. საქართველოს ექსპორტის თანამედროვე პოტენციალის შეფასება..... 24

2.1. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მისი განვითარების შესაძლებლობები. 24

საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონისა და აბრეშუმის გზის ერთ-ერთი ცენტრალური ქვეყანა, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, მისი სახელმწიფოებრივი დანაწილების მიუხედავად, აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და როგორც დამოუკიდებელ და ცივილიზებულ ქვეყანას, თავისი წვლილი შეჰქონდა ტერიტორიულად განცალკევებულ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება-განვითარების საქმეში. 24

2.2 საქართველოს ექსპორტის რეტროსპექტურლი ანალიზი..... 33

2.3 ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული ძირითადი დარგები და აგროპროდუქტები 45

თავი3. საქართველოს საექპორტო პოტენციალის ფორმირების პერსპექტივები..... 62

3.1 საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები 62

3.2 საქართველო ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარება 66

დასკვნა 70

გამოყენებული ლიტერატურა..... 73

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტემპებმა და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისაკენ, რომელიც აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას, აჩქარებს გლობალური სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ფორმირებას, გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლისადმი. ცხოვრების სიღრმისეულმა ცვლილებებმა და განვითარების სწრაფმა ტემპებმა მოითხოვა სტატისტიკის თეორიული საკითხების ახლებურად გააზრება და მეცნიერულად დასაბუთებული, პრაქტიკასთან თავსებადი მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება.

დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქტებისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სახელმწიფოს ფორმირებაზე გლობალიზაციის პროცესი ძირითადად ორი მიმართულებით მოქმედებს: მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საქართველოს პოლიტიკური სივრცის მოდერნიზაციაზე და გამომდინარე აქედან, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის გამოცდილება; გამომდინარე, იქიდან, რომ საქართველოს როლი გლობალურ სივრცეში თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით კიდევ უფრო გაიზარდა (რაც მას განსაკუთრებულ სატრანზიტო ფუნქციებს ანიჭებს), ამ უკანასკნელის გამოყენებით საჭიროა სწორი გზების

გამონახვა.ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და არსებული სიძნელეების დასაძლევად.

უკანასკნელი პერიოდის საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემები, რაც ქვეყანაში მძიმე სოციალურ ფონს ქმნის. ესენია: ინფლაცია, ფასების ზრდა, ლარის კურსის ვარდნა და ა.შ. ამ და სხვა პრობლემების მოგვარების გზების საძიებლად საჭიროა გავაანალიზოთ, რა ახდენდა გავლენას საქართველოში დოლარის კურსის მოცულობაზე. რა თქმა უნდა, დოლარზე პირველ რიგში გავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი (რაც უფრო მატულობს ექსპორტი, მით უფრო მეტი ვალუტა შემოდის ქვეყანაში) და, პირიქით, რაც უფრო მეტია იმპორტი - ქვეყანაში ნაკლები ვალუტა რჩება. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სხვაობა ანუ სავაჭრო დეფიციტი საგრძნობლად გაიზარდა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახა ლარის კურსზე და ზოგადად ქვეყნის ყოველდღიურობაზე.

ნაშრომის ძირითადი მიზანია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავების პროცესში საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობის განსაზღვრის თეორიული ასპექტების შესწავლა, საქართველოს საექსპორტო პოტენიალის განსაზღვრა,

კვლევის საგანია საქართველოში წარმოებული საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები და მათი საექსპორტო პოტენციალი.

კვლევის ობიექტია საქართველოს საგარეო სავაჭრო ნაკადების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა, საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებული ტენდენციები და მათი რაოდენობრივი კანონზომიერებები 2011-2019 წლებში.

ნაშრომის პირველ თავი მოიცავს საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული ასპექტების განსაზღვრას, რომელშიც განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობა და ძირითადი კონცეფციები, ასევე თეორიულ დონეზე განხილულია საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და სახელმწიფოს როლი საგარეო ვაჭრობის განვითარებაში. მეორე თავი კი უშუალოდ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის შეფასებას ეხება, ხოლო მესამე თავი მოიცავს საექსპორტო პოტენციალის მარკეტინგულ კვლევასა და მისი მოცულობის გადიდების შესაძლებლობებს.

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობის განსაზღვრის თეორიული ასპექტები

1.1. საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობა და თეორიის ძირითადი კონცეფციები.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის, უფრო კონკრეტულად კი, ამ ქვეყნების საქონელმწარმოებელთა შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობების ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი ფორმაა. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქციებისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით.[1]

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე თეორიებში აღსანიშნავია „კონკურენტულ უპირატესობათა თეორია“, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი საერთო პრობლემაა ეროვნული ეკონომიკის და იმ ფირმების ინტერესების თანხვედრა, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო საქონელგაცვლაში. თუ როგორ იღებენ კონკრეტული ქვეყნების ცალკეული ფირმები კონკურენტულ უპირატესობას მსოფლიო ბაზარზე, აღნიშნულ კითხვაზე, პასუხისგაცემას

[1] თ. შენგელია ო. გიგიაშვილი, რ, ფუტკარაძე, ჟ. თოლორდავა და სხვა. საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი. 2017 წ.

შეეცადა ამერიკელი მეცნიერი მაიკლ პორტერი, რომელმაც თავის წიგნში „საერთაშორისო კონკურენცია“ 10 ქვეყნის მაგალითზე მოახდინა 100-ზე მეტი დარგისა და ქვედარგის ანალიზი და შეიმუშავა ერის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ორიგინალური კონცეფცია კვლევის შედეგად მეცნიერმა დაასკვნა, რომ ეროვნული ფირმების ამ დარგებსა და ქვედარგებში მოქმედი საერთაშორისო კონკურენტული უპირატესობები დამოკიდებულია მათი საქმიანობის მიკროგარემოზე საკუთარ ქვეყანაში. მიკროგარემო განისაზღვრება არა მარტო წარმოების ფაქტორებით, არამედ შიგა ბაზარზე მოთხოვნის ხასიათით, მონათესავე და მომიჯნავე დარგების განვითარებით. მასზე გავლენას ასევე ახდენს ქვეყანაში მენეჯმენტისა და კონკურენციის დონე, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა და შემთხვევებიც კი. პორტერის აზრით, სწორედ კომპონენტთა შეხამება განსაზღვრავს ფირმების, ქვედარგებისა და ქვეყნების კონკურენტულ უპირატესობებს მსოფლიო ბაზარზე. პორტერის თვალსაზრისი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო გაცვლის თვალსაზრისით განისაზღვრება შემდეგი ოთხი კომპონენტის ზემოქმედებითა და ურთიერთკავშირით: ¬ წარმოების მოცულობისა და ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები, ანუ ის კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც საჭიროა მოცემულ დარგში წარმატებული კონკურენციისათვის; მოცემული დარგის პროდუქციაზე შიდა მოთხოვნების პირობები, მისი რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრები; მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი მონათესავე და მომიჯნავე დარგების არსებობა; ფირმების სტრატეგია და სტრუქტურა, შიდა ბაზარზე კონკურენციის ხასიათი; გასული საუკუნის ბოლოს კი, ამერიკელმა ეკონომისტმა პოლ კრუგმანმა (დაბ. 1953) და ავსტრიელი წარმოშობის ამერიკელმა ეკონომისტმა კელვინ ჯონ ლანკასტერმა (სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის გაგებაში ახალი მიდგომა შეიმუშავეს, რომელიც ე.წ. „მასშტაბის ეფექტს“ ეფუძნება. ეს თეორია ჰეკშეროლინის თეორიის გაანალიზებისა და მისი კრიტიკის[1] შედეგად ჩამოყალიბდა და დაკავშირებულია მასშტაბის ეფექტთან, რომლის არსი კარგადაა ცნობილი და იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების ორგანიზაციისა და კონკრეტული ტექნოლოგიის ხანგრძლივობის პირობებში საშუალო დანახარჯები მცირდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდის შესაბამისად, რაც ხდება იმ ეკონომიის

[1] თ. შენგელია ო. გიგიაშვილი, რ, ფუტკარაძე, ჟ. თოლორდავა და სხვა. საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი. 2017 წ.

ხარჯზე, რომელიც მასობრივი წარმოების შედეგად მიიღება. თავის პირველივე ნაშრომებში კრუგმანმა შემოიტანა ცნება „სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა“ და მოიყვანა არგუმენტები ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მიერ ამგვარი პოლიტიკის შემუშავების დასაცავად. კრუგმანის ახალი თეორიის თანახმად, შეიძლება შეფასდეს თითოეული ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა. 1979 წელს მის მიერ შემუშავებულ მოდელში მხოლოდ ორი ქვეყანა მონაწილეობს და თითოეულ ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთი კატეგორიის საქონლის შერჩევისას მყიდველები უპირატესობას ანიჭებენ მათ სხვადასხვა სახეებს, ამასთან საჭიროა, კომპრომისის მოძებნა ასორტიმენტსა და ფასს შორის. ამავე დროს, თავის მოდელში კრუგმანი შეეცადა სხვადასხვა ქვეყნებისათვის შეფარდებითი უპირატესობების მიზეზების ახსნას. ახალ მოდელში კი, რომელიც მან 1991 წელს წარმოადგინა, გაართულა პირობები იმ კუთხით, რომ დაამატა სამუშაო ძალისა და კაპიტალის მიგრაციის ფაქტორები, ასევე სატრანსპორტო დანახარჯები. შეიძლება ითქვას, რომ კრუგმანმა პირველმა გახსნა სისტემის ყველა ელემენტის ურთიერთქმედების ხასიათი, ქვეყნების ქსელური ურთიერთქმედების ეფექტი და ისტორიული ფაქტორების მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაში. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხზე მსჯელობენ ქართველი მეცნიერებიც. პროფ. გ. თოდუამ ჩამოაყალიბა მდგრადი ეკონომიკისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის საყოველთაო კანონი. აღსანიშნავია, რომ მისი აზრი ემყარება ეროვნულ სახელმწიფოთა ინტერესების დაცვის კონცეფციას. „შეფარდებითი უპირატესობა მდგრადი განვითარების გარეშე არ არსებობს და, პირიქით, თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს მდგრადი ეკონომიკისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის საყოველთაო კანონი. ამ ერთიანობაში თუ რომელიმე იქნება აქტიური მხარე, ეს დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის შინაგანი ეკონომიკური განვითარების თავისებურებებზე“.[1] პროფ. დ. ძნელაძე ზღვრული უპირატესობის კონცეფციიდან გამომდინარე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „შეფარდებითი უპირატესობის თეორია მთლიანად ვერ ხსნის ამ უპირატესობის წარმოშობის მექანიზმს, იგი მომდევნო პერიოდში დამუშავდა სხვადასხვა მეცნიერთა კვლევებში, სადაც მრავალგზის დასაბუთებულია, რომ

[1] საქართველოს საექსპორტო მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. გ. ღაღანიძე, 2014 წ.

საერთაშორისო გაცვლა ეკონომიკურად სავსებით ხელსაყრელია. იგი იძლევა იმის საშუალებას, რომ ეფექტიანი გახდეს როგორც მთელი მსოფლიოს საწარმოო შესაძლებლობები, ასევე ცალკეული ქვეყნების წარმოების ეროვნული ფაქტორებიც. ის დროთა განმავლობაში უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორებზე ფასების გათანაბრებას.[1]

[1] საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში , თ. ბიძნაშვილი, მ. ლომთაძე 2016.

1.2 საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

საგარეო ვაჭრობის[1] ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი. ამ თვალსაზრისით საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ექსპორტის ისეთი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს მის მიახლოებას მაინც იმპორტთან. საექსპორტო პოტენციალის ეფექტური გამოყენების სტიმულირების აუცილებელი პირობაა, არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური და გეგმაზომიერი გამოყენება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. საიმპორტო საქმიანობაში უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები და მათთვის შეიქმნას ხელშემწყობი პირობები. საგარეო ვაჭრობის განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება, ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას. მოახდინოს აუცილებელ იმპორტზე შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, დააჩქაროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესი. დღეს საქართველოს გააჩნია უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო. სავაჭრო ბალანსის ზრდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანია. მაგრამ იმპორტისა და სავაჭრო დეფიციტის ზრდაც ეკონომიკის რეალიზაციის ამ ეტაპზე მოსალოდნელი იყო. ამის საფუძვლად შემდეგი გარემოებები შეიძლება მივიჩნიოთ:

- დონორი ქვეყნების და საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებების ფინასური დახმარება (გრანტები და შეღავათიანი კრედიტები). მართალია საქართველოსთვის

[1] საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. გ. ნანობაშვილი 2017 წ

გაწეული დახმარება 1995 წლიდან მცირდება, მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა წმინდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა რამაც განაპირობა იმპორტის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება;

 მზარდი ადგილობრივი შემოსავლები და აქედან გამომდინარე, შიდა მოთხოვნილებების სწრაფი ზრდა;

 სამამულო წარმოების ზრდის შედარებით დაბალი ტემპები. ქართული საექსპორტო პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა, რაც მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით, ერთეულ პროდუქციაზე მუშახელის სიჭარბით და ძირითადი ფონდების მაღალი ღირებულებით არის განპირობებული. საქართველოს ეკონომიკის მთელი რიგი დარგები, რომელთა მუშაობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოება, ჯერ კიდევ არასტაბილურად მუშაობს. ბევრ ისეთ სექტორში, სადაც ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი საწარმოო პოტენციალი, პროდუქციის იმპორტი სჭარბობს შიდა პროდუქციას. ეს იმ დროს, როდესაც შიდა ბაზრის გაჯერება ადგილობრივი საქონლით და იმპორტით შემცირება უშუალოდ არის დამოკიდებული იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების მოცულობასა და ხარისხზე.

საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას დიდი პერსპექტივები გააჩნია ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში განახორციელოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი. თანამედროვე ეტაპზე საქართველო ახორციელებს ძირითადად შემდეგი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს: ღვინო, თხილი, კაკალი, ნუში, ხილის ჩირი მოცვი, კივი, ბროწეული, კურკოვანი კულტურები, ვარდის ზეთი, სტაფილოს თესლის ზეთი, ჩაი, მწვანილი, დაფნა, მატყლი, თაფლი. მაგრამ მათი მოცულობების ზრდა ღვინისა და თხილის გარდა მიმდინარეობს დაბალი ტემპებით რასაც მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი გააჩნია. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა,

ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

1.3 სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობის რეგულირებაში

თანამედროვე ეკონომიკა, როგორც საბაზრო კავშირებისა და მათი ურთიერთგანპირობებულობის რთული სისტემა, წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე. მრავალწლიანი მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს მაკროეკონომიკური რეგულირების ობიექტურ აუცილებლობას. დაწყებული დიდი დეპრესიის პერიოდიდან, ეკონომისტები და პოლიტიკოსები 28 დარწმუნდნენ, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია გადაწყვიტოს ქვეყნის ნორმალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. მართალია, საბაზრო ეკონომიკა თავისი არსით თვითრეგულირებადი სისტემაა, მაგრამ ,,უხილავი ხელის" მოქმედებას აქვს გარკვეული საზღვრები, რომლის იქითაც იგი უძლურია და არ შესწევს უნარი დაძლიოს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ არსებული წინააღმდეგობები. ჯ. ჰელბრეითის აზრით "ბაზარს ახასიათებს უამრავი დეფექტი და ნაკლოვანება, რომელიც სახელმწიფოს ჩარევას მოითხოვს" (Дж. Гелбрейт 1079). ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება გულისხმობს, ცივილიზებული ბაზრის ფორმირების დროს, ეკონომიკის მყარი განვითარების მიზნით დიდი რაოდენობის მეთოდებისა და ხერხების

ერთობლიობის გამოყენებას. [1]მყარი ეკონომიკის განვითარება უნდა იყოს მთელი საზოგადოების ინტერესში, ხოლო მისი რეგულირება მოიცავდეს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა მხარეს. აქ სახელმწიფოს უნდა ეკავოს წამყვანი ადგილი. დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ბაზარს არ შეუძლია დაარეგულიროს ნაციონალური და რეგიონალური ეკონომიკური პროგრამების რეალიზაცია, გადაწყვიტოს უმუშევრობის პრობლემები, ვალუტის კონვერტირებადობა და ფულადი მიმოქცევის აწყობა, ფუნდამენტალური კვლევების ჩატარება და სხვა. ნებისმიერი სამეურნეო ობიექტის უფრო ზუსტი პროგნოზირებისათვის აუცილებელია გვქონდეს არა მხოლოდ სამეურნეო სუბიექტების, არამედ მთელი ნაციონალური ეკონომიკის, მისი ცალკეული ქვესისტემის, კომპონენტებისა და ელემენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამასთან აუცილებელია უწყვეტლივ დაიხვეწოს თვით პროგნოზირების მეთოდოლოგია, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან კავშირში.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის, როგორც ფორმები ასევე მასშტაბები არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ დოგმას და იცვლებიან ქვეყნის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. ნორმალურ პირობებში ყველა ქვეყანაში ყალიბდება კონკრეტული პირობებისადმი ოპტიმალური სახელმწიფო რეგულირების ზომა. კრიტიკულ პირობებში შესაძლებელია გამოვიყენოთ დამატებითი ბერკეტები, არასტანდარტული გადაწყვეტილებები. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო რეგულირების ზომის სწორად და დროულად შერჩევას. ამჟამად საქართველოში საბაზრო სისტემის ფორმირების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმების და მეთოდების შესწავლას, ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით მისადმი მისადაგებასა და პრაქტიკაში დანერგვას.

[1] http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

სახელმწიფოს როლი მრავალ ღონისძიებებში გამოიხატება, მას შეუძლია შექმნას თანაბარი პირობები ყველა ინდივიდისათვის, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარია. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობა, რისთვისაც ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს. აქედან შეიძლება

გამოვყოთ:

1. კანონშემოქმედებითი.

2. მეწარმეობრივი.

3. საერთაშორისო.

სახელმწიფოს საკანონმდებლო ფუნქცია გულისმობს ისეთი კანონების შემუშავებას და ამოქმედებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ნორმალურ არსებობას და განვითარებას. სამეწარმეო საქმიანობის მასტიმულირებელი კანონმდებლობა არის ნამდვილი რეგულატორი საბაზრო მექანიზმისა, რადგან საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფოს ხელშია, სწორედ მას შეუძლია ,,თამაშის წესების" დადგენა. სახელმწიფოს სამეწარმეო ფუნქცია მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ფორმებს, რასაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო საკუთრება. სახელმწიფო საკუთრებაში შესაძლებელია დარჩეს ეკონომიკის საერთო ეროვნული მნიშვნელობის დარგები. სერიოზულ მხარდაჭერას საჭიროებს სახელმწიფოსაგან უცხოური ინვესტიციები. ამ სახსრების მოზიდვა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. ეს პროცესი ჩვენი ეკონომიკისათვის ძალზედ მომგებიანია. ჯერ ერთი, კაპიტალის ნაკლებობისა და მოძველებული ტექნოლოგიის პირობებში ეს ინვესტიციები დაეხმარება ქვეყანას სამრეწველო ბაზის მოდერნიზაციაში, გაიზრდება ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, დაინერგება შრომითი გამოცდილებები. ეს პროცესები მოითხოვს უცხოელ ინვესტორთა მოგების კონცენტრაციას და უცხოური კაპიტალის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

თუმცა სახელმწიფომ არ უნდა მიანიჭოს გადაჭარბებული მნიშვნელობა უხოურ ინვესტიციებს, რადგან მთავარი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა არის ეროვნული ეკონომიკის აღორძინება. ამრიგად, უცხოურ ინვესტიციებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას. დღეს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს აგრარული ურთიერთობები თამაშობს. მაგრამ ბოლო პერიოდში ქვეყნის აგრარული სექტორის მდგომარეობა არასტაბილურია. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯ.კეინზი აღნიშნავდა, რომ რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო საჭიროა სახელმწიფო ჩარევა. ამიტომ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის და მისი თანამედროვე ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის აუცილებელია სტრატეგიული ამოცანების დასმა, რომლის გადაწყვეტის ფუნქცია სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. საჭიროა ხელისუფლების მიერ აგროსექტორისადმი მხარდაჭერის პოლიტიკის გააქტიურება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სასურსათო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობები. პირველ რიგში ეს ეხება სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალიზაციას, მისი სტრუქტურის თვისობრივად შეცვლას. ეს კი მომავალში ისეთი მიმართულებით უნდა განვითარდეს, რომ საფუძველი შეუქმნას სასურსათო პროდუქტების ადგილზე წარმოების განვითარებას დაჩქარებული ტემპებით და ძირითადად დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილებები სასურსათო პროდუქტზე. საჭიროა შეიქმნას მტკიცე საკანონმდებლო ბაზა, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რადგან ეკონომიკური პოლიტიკა სათანადოდ არ ითვალისწინებს ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესებს უცხოური ფირმების საქართველოში შემოსვლის დროს.

1.4. საქართველო თანამედროვე გლობალურ სივრცეში

დღეს გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს განვითარების კანონზომიერი და განმსაზღვრელი ფაქტორია. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება და არსებით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ფორმირების პროცესზე. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირებასთან ანუ გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებული უამრავი მოვლენა მოხდა. ამ თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფოს, როგორც ახალი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი აქტიორისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პროცესის შესწავლა და მისი შედეგების გააზრება.

გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირება ღია საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიის პრინციპებს ეფუძნება. აღნიშნული პროცესის შედეგად მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო და უფრო იჭრება ეროვნულ ეკონომიკაში და მისი განვითარების ნორმებსა და სტანდარტებს განსაზღვრავს. თანამედროვე გლობალიზაცია მსოფლიოს განვითარების თვისობრივად ახალი მოვლენა და შესაბამისად, რთული პროცესია, რომელიც თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად თითოეული ქვეყნისთვის იზრდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელობა და როლი, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ რთულია და ძლიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემებიც ძნელად ეგუება გლობალური ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს.[1]

[1] https://idfi.ge/ge/georgia-in-innovations-global-index

დღეს გლობალიზაცია მსოფლიომეურნეობრივი ურთიერთობების ობიექტური პროცესია, რომელიც თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობის და, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის განვითარების ერთობლივი პირობებით გამოისახა. ეს პროცესი კაცობრიობის ახალ ჰორიზონტებს იპყრობს, რომელსაც როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები აქვს.

გლობალიზაცია საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში უპირველესად საერთაშორისო ვაჭრობის ზრდით გამოწვეულ ცვლილებებს და ასევე ბარიერთა რღვევისა და ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულების შედეგად ვაჭრობისა და ინვსტიციების ზრდას ასახავს. თანამედროვე პირობებში, როცა იზრდება კონკურენციის მნიშვნელობა, საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ტრადიციული მეთოდების გამოყენება წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად არასაკმარისია. პროფ. ე. ბარათაშვილის აზრით, ცალკეული ქვეყნის მიდგომა კონკურენტუნარიანობის მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს ესა თუ ის ქვეყანა ახალ პირობებში რისკის შემცველობის და არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების დროს. საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე 28 წელი გავიდა და ამ ხნის მანძილზე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდიც კი არ დასრულებულა, სუსტია სასამართლო სისტემა. გლობალიზაცია, ზოგჯერ, ჩამორჩენილ, სუსტად განვითარებულ ქვეყანას უპირატესად მომხმარებლად აქცევს, ხშირად _ დაბალი ხარისხისა და ფალსიფიცირებული იმპორტირებული ნაწარმის გამსაღებლად; სამწუხაროდ, ეს საფრთხე არც საქართველოს ასცდა, თანდათანობით იზრდება იმპორტირებული დაბალხარისხიანი ნაწარმის შემოდინება როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით. ამასათანავე, ქვეყანა გახდა იმპორტზე დამოკიდებული, რამაც საქართველოში ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების მოშლა გამოიწვია. საქართველომ დღემდე ვერ შეძლო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა გამხდარიყო. როგორც აღინიშნა, ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჯერ არ ფიქსირდება. გლობალიზაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ეკონომიკური განვითარების

რომელ მოდელს ან ორიენტაციას აირჩევს ქვეყანა. მოდერნიზაციის პროცესში აუცილებელია სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენება და მისი ეროვნულ პირობებთან რაციონალური შეხამება.

საქართველო მნიშვნელოვანი [1]სატრანზიტო ქვეყანაა და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ასეთი მდებარეობა დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მას დაიკავოს საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის ადეკვატური ადგილი მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში. ამ თვალსაზრისით, გადაიდგა კიდეც გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები: გაიხსნა საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზარი, შეიქმნა უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობები, ქვეყანაში განხორციელდა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროგრამა, საფუძველი ჩაეყარა ტრანსკავკასიური ნავთობსადენის - „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და „ბაქო-თბილისი-არზრუმის“ გაზსადენის ამოქმედებას, „ბისეკის“ პროექტის განხორციელებას, თანამედროვე „აბრეშუმის გზის“ _ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო _ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას და ა.შ. ეს პროექტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებასა და გარე სამყაროსთან საქართველოს ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველოს ასეთ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას აქვს როგორც უპირატესობები, ასევე ხარვეზები. ერთი მხრივ, ის დაუცველობის განცდას აჩენს, მეორე მხრივ კი, იძლევა რეგიონულ კვანძად და სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ასევე 2017 წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა. ანაკლიის განვითარების კონსორციუმის მიერ მოწოდებული დეტალური ანალიზის შედეგად, მომავალი პორტის შესახებ რამდენიმე არსებითი სიახლე იკვეთება. პორტის მშენებლობის პირველი ორი ფაზა საკონტეინერო გადაზიდვებს დაეთმობა. პირველი ფაზა მოიცავს თანამედროვე

[1] https://www.kvirispalitra.ge/economic/31743-ra-strategiuli-da-komerciuli-mnishvneloba-eqneba-anakliis-ports.html?fbclid=IwAR3kb0n7kPJJ4lKb7xsTMlTCeMI6pUE9vm9X1PMFzBpoe-vbQC_YA2PYWTA

საკონტეინერო ტერმინალს 600-მეტრიანი მისადგომით, რომელიც ერთდროულად 2 გემის მიღებას შეძლებს. ამ დროს გამტარუნარიანობა იქნება 700-დან 900 ათასამდე კონტეინერი წელიწადში. ტერმინალი აღიჭურვება თანამედროვე შჰიპ-თო-შჰორე ამწეებით. მისადგომებთან სიღრმე 16 მეტრი იქნება, რაც პორტს საშუალებას მისცემს, მოემსახუროს ყველაზე დიდ - 10 ათასი კონტეინერის ტევადობის გემებს.

ბოლო 20 წელიწადში ჩინეთის ეკონომიკის ზრდამ და გაზრდილმა მსოფლიო სავაჭრო ტვირთბრუნვამ დიდად გაზარდა კონკურენცია ზოგადად გადაზიდვებში და განსაკუთრებით, საზღვაო გადაზიდვებში, რამაც ამ სფეროში სტრატეგიული ცვლილებები განაპირობა. ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი ტენდენცია იყო საზღვაო სატვირთო გემების განახლება, ხარჯების შემცირება და მასშტაბების გაზრდის მიზნით, ხომალდების ზომების მატება. შავი ზღვის აკვატორიაში საკონტეინერო ტვირთების განაწილების ორი გზა არსებობს. პირველს უწოდებენ "პირდაპირ ხაზს" - 6 ათასი კონტეინერისა და უფრო მეტი ტვირთამწეობის დიდი გემები (ე.წ. დედა გემები), მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან, რამდენიმე პორტში გაჩერების შემდეგ, შავ ზღვაში შემოდიან და ტვირთს ღრმაწყლოვან პორტებში ანაწილებენ (თურქეთი, უკრაინა, რუმინეთი, რუსეთი). შავ ზღვაზე მთლიანი საკონტეინერო ტვირთბრუნვის 45% ამგვარ "დედა გემებზე" მოდის. დანარჩენი 55% შავ ზღვამდე მოაქვთ ე.წ. სათადარიგო ხაზით - მეგა გემებს ტვირთი მიაქვთ საკვანძო სატვირთო პორტებამდე ხმელთაშუა ზღვაში (სტამბოლი, პირეოსი, მალტა), სადაც შედარებით პატარა, 3-5 ათასკონტეინერიან გემებზე ანაწილებენ და შავ ზღვაში შემოაქვთ. ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა გამოიკვლია და შეადარა ამ ორ გზაზე და დღეს საქართველოში არსებული გადაზიდვების ხარჯები. გამოიკვეთა, რომ დიდი გემები და მარშრუტების გაზრდილი მასშტაბები გადამზიდავ ხაზებს საშუალებას აძლევს, მომხმარებელს შედარებით დაბალი ფასები შესთავაზონ, რომლებითაც დღეს საქართველოს და ზოგადად, რეგიონის მომხმარებელი ვერ სარგებლობს. საკონტეინერო გადამზიდავ ხაზებს ამჟამად საქართველოში მხოლოდ ფოთისა და ბათუმის პორტები ემსახურება, რომლებიც დიდი ხნის წინ არის აშენებული. მათი წლიური

წარმადობა ჯამში 500-დან 600 ათას კონტეინერამდეა, რომლის 80-85% ფოთზე მოდის, დანარჩენი კი ბათუმზე. ფოთში არსებული შეზღუდვები (მცირეა პორტის სიღრმე, მისადგომების სიგრძე და ამწეების სიმძლავრე, მუდმივად საჭიროა დაღრმავება დასილვის გამო, პორტი წლის თითქმის მეოთხედი დაკეტილია) გადაზიდვის ხარჯებს ზრდის. პორტში კონტეინერების მომსახურების ხარჯი მეტია სხვა ევროპულ თუ შავი ზღვის პორტებთან შედარებით. ფოთის პორტი ვერ ემსახურება 1500-კონტეინერზე მეტი ტევადობის გემს. პატარა გემი კი გადაზიდვებისთვის არაეფექტურია. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ღრმაწყლოვანი პორტის არსებობის შემთხვევაში, დიდი გემების მიღების შესაძლებლობა, გადაზიდვის ხარჯებს თითო კონტეინერზე დაახლოებით 160 დოლარით შეამცირებს.

საქართველოს და ზოგადად სამხრეთ კავკასიის კორიდორს აქვს პოტენციალი, რეგიონში ერთ-ერთი მთავარი სატრანზიტო კორიდორი გახდეს. საქართველოს სატრანზიტო კორიდორი ემსახურება როგორც ცენტრალური აზიის ქვეყნებს, ასევე შეუძლია გაატაროს ტვირთები ევროპიდან ირანისკენ და პირიქით. სხვადასხვა ქალაქამდე დისტანცია ხშირ შემთხვევაში ყველაზე მოკლე სწორედ საქართველოს გავლითაა, თუმცა ხარჯის თვალსაზრისით - ყველაზე ძვირი. სწორედ ამის გამო, წლების განმავლობაში, ტვირთები კონკურენტ კორიდორებზე გადანაწილდა. თუმცა, საქართველოს სატრანზიტო კორიდორის კონკურენტუნარიანობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ საქართველოზე. ამაზე დიდ გავლენას ახდენს აზერბაიჯანის სატვირთო გამტარუნარიანობა. თუმცა აზერბაიჯანმა უკვე დაასრულა ახალი პორტის მშენებლობა და უახლოეს მომავალში საბორნე სიმძლავრეებსაც გაზრდის, რათა ჩინეთიდან მომავალ ტვირთებს მოემსახუროს. იზრდებაა ზერბაიჯანის სარკინიგზო სიმძლავრეებიც.კვლევიდან ისიც ირკვევა, რომ საქართველოს, როგორც ამ კორიდორის ერთ-ერთ მთავარ კვანძს, მხოლოდ პორტის აგება ვერ უშველის და აუცილებელია სარკინიგზო და საავტომობილო გზების მოდერნიზებაც. ხელისუფლება ირწმუნება, რომ რკინიგზის მოდერნიზება უკვე დაწყებულია და 2018 წელს დასრულდება, ხოლო საავტომობილო გზების მშენებლობა, თუ გეგმის მიხედვით არა,

მომდევნო 4-6 წელიწადში უმეტესწილად დასრულდება. ამ ყველაფერმა საქართველოს სატრანზიტო კონკურენტუნარიანობა უნდა გაზარდოს, რაც დროთა განმავლობაში ტვირთნაკადის ზრდას განაპირობებს. ეს დამატებითი მიზეზია, თუ რატომ სჭირდება საქართველოს თანამედროვე პორტი. საიდუმლო არავისთვის არის, რომ ახალი პორტი ერთმნიშვნელოვნად გაუწევს საკონტეინერო გადაზიდვებში კონკურენციას ფოთსა და ბათუმს. თუმცა, ანაკლიის განვითარების კონსორციუმში ფიქრობენ, რომ სათადარიგო ხაზებით შემოტანილი ტვირთების დაახლოებით 30-40% ფოთში დარჩება, რადგან ზოგი ტვირთის მფლობელი უშუალოდ ფოთში მოითხოვს მის ჩატანას, სპეციფიკური გარემოებების გამო. ხოლო დროთა განმავლობაში ქვეყნის მთლიანი საკონტეინერო ტვირთბრუნვის ზრდის კვალობაზე, ფოთი კვლავ მიაღწევს გადაზიდვების დღევანდელ დონეს. ბათუმს კი უფრო გაუჭირდება ბაზრის წილის შენარჩუნება, თუმცა კონსორციუმში ფიქრობენ, რომ ბათუმის პორტის მომავალი უფრო ტურიზმთან უნდა იყოს დაკავშირებული, ვიდრე საკონტეინერო გადაზიდვებთან. ანაკლიის პროექტს აქვს პოლიტიკური დატვირთვაც. 2007 წელს ფოთის პორტის სრული პრივატიზებით სახელმწიფომ ყველაზე სტრატეგიული, საპორტო ინფრასტრუქტურა დაკარგა. ამჟამად სახელმწიფოს არა აქვს ბერკეტი ფოთის განვითარებაზე ზეგავლენის მოსახდენად. შავი ზღვის ყველა სახელმწიფოს აქვს საკუთრებაში ან სამართავად გაცემული პორტი. ასევე საქართველო ერთადერთი ქვეყანაა შავ ზღვაზე, რომელსაც ღრმაწყლოვანი პორტი არ აქვს. ანაკლია კი ინვესტორს გადაეცემა სამართავად და ვადის გასვლის შემდეგ, სახელმწიფოს დაუბრუნდება. ანაკლიის პორტის განვითარების მხოლოდ პირველი ფაზა მოიცავს 590 მილიონი დოლარის ინვესტიციას, პერსპექტივაში კი ინვესტირებული იქნება 2,5 მილიარდი დოლარი. პროექტი შექმნის ასობით სამუშაო ადგილს, განაპირობებს ინდუსტრიული ზონის შექმნასა და ამოქმედებას. ინდუსტრიული ზონაც, რომელიც პორტის უკან 600 ჰექტარზე განთავსდება, მოიზიდავს დამატებით ინვესტიციებს და საწარმოებს, რომლებიც დამატებით შექმნის სამუშაო ადგილებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის საქართველოში საკმაოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, მაგრამ გვაქვს ყველანაირი პოტენციალი იმისა რომ აქტიურად ჩავებათ გლობალიზაციის პროცესში და მომხმარებელი ქვეყნიდან ვიქცეთ ექსპორტიორ და ქვეყნად, ამიტომ მიმაჩნია, რომ ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის დარეგულირება არსებულის სიტუაციის გამოსწორების მთავარი გზაა.

თავი 2. საქართველოს ექსპორტის თანამედროვე პოტენციალის შეფასება.

2.1. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მისი განვითარების შესაძლებლობები.

საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონისა და აბრეშუმის გზის ერთ-ერთი ცენტრალური ქვეყანა, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, მისი სახელმწიფოებრივი დანაწილების მიუხედავად, აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და როგორც დამოუკიდებელ და ცივილიზებულ ქვეყანას, თავისი წვლილი შეჰქონდა ტერიტორიულად განცალკევებულ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება-განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თავისი ერთიანი სახალხომეურნეობრივი სისტემით, საქართველომ, ისევე, როგორც პრაქტიკულად ყოფილი კავშირის ყველა სუბიექტმა, მემკვიდრეობით მიიღო ეკონომიკური სისტემა სპეციფიკური დარგობრივი სტრუქტურით, დარღვეული სამეურნეო კავშირებით, დანგრეული ფინანსური სისტემით, საბაზრო ურთიერთობების სრული გამოუცდელობით და ასეთივე საკანონმდებლო ბაზით ახალი ეკონომიკური საფუძვლების ფორმირებისათვის. ეკონომიკური სირთულეები გაღრმავდა პოლიტიკური პროცესებით და სეპარატისტული ხასიათის ეთნოკონფლიქტებით. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებში დღის წესრიგში აქტიურად დადგა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრირებაზე ორიენტირებული ეფექტური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების საკითხი. 1990-იან წლებში საქართველო დიდი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით ქვეყანამ შეძლო მოეხდინა საგარეო ვაჭრობის ღრმა ლიბერალიზაცია: გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის ქვოტირება, მხოლოდ ძალიან შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე შენარჩუნდა ექსპორტის და იმპორტის აკრძალვა და ლიცენზირება, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების

რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ნუსხა და სააქციზო განაკვეთები, იმპორტზე 12 ან 5 პროცენტიანი განაკვეთები დაწესდა, ასევე ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, ხოლო საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე დაწესდა მთელი რიგი შეღავათები.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის პროცესი აქტიურად ვითარდება. ამ პროცესში საქართველოს, როგორც სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნის, ჩართვის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ერთი მხრივ, ამ მიმართულებით არ არსებობს ისტორიული ანალოგი და, მეორე მხრივ, მსოფლიო სტანდარტების დონეზე პროდუქციის წარმოება მრავალმხრივ ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდება. საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი სიმდიდრე, სოფლის მეურნეობის ტრადიციები, ღვინისა და მინერალური წყლების წარმოებისა და ექსპორტირების შესაძლებლობები შრომის საერთაშორისო დანაწილებში მისი რაციონალური მონაწილეობის კარგი წინაპირობაა. მაგრამ ერთიან სახელმწიფო-სამეურნეო კომპლექსში მისმა იძულებითმა სპეციალიზაციამ და საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების უუფლებობამ ქვეყნის განვითარებაში სერიოზული დეფორმაცია გამოიწვია.

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივისიმდიდრე, სოფლის მეურნეობის ტრადიციები, ღვინისა და მინერალური წყლებისწარმოებისა და ექსპორტირების შესაძლებლობები შრომის საერთაშორისოდანაწილებში მისი რაციონალური მონაწილეობის კარგი წინაპირობაა. მაგრამ ერთიან სახელმწიფო-სამეურნეო კომპლექსში მისმა იძულებითმა სპეციალიზაციამ და საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების უუფლებობამ ქვეყნის განვითარებაში სერიოზული დეფორმაცია გამოიწვია. დღეს საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისიისტორიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, კვლავ ეძლევა ეფექტური შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და მიაღწიოს ეკონომიკურ

წინსვლას. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის სწორად განსაზღვრასა და მისიეფექტურად გამოყენების ღონისძიებების შემუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისათვის, მყარი და სტაბილური ექსპორტი თავისთავად, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის გაძლიერებით მიიღწევა. საქართველო მდიდარი საექსპორტო პოტენციალის მქონე ქვეყანაა. ერთერთი სტრატეგიული დარგია მეღვინეობა. განვითარებული მევენახეობამეღვინეობის ქვეყნებს შორის საქართველო გამოირჩევა კონკურენციული უპირატესობით. ამას განაპირობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება. საქართველოს მეღვინეობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი თავისებურება და განუყოფელი ნიშან-თვისებაა ხარისხი. მსოფლიოში საექსპორტო ღვინოებიდან, პრიორიტეტი ფრანგულ ღვინოებს ენიჭება. ამ წარმატების მიზეზი კი ღვინის დაყენების ტექნოლოგიაა. კერძოდ, ღვინო-მასალის დიატომიტისაგან დამზადებულ ფილტრში გატარება. მსოფლიოში კი დიატომიტის მხოლოდ ორი საბადოა ცნობილი: კალიფორნიის შტატსა (აშშ) და საქართველოში, ახალციხის რაიონში სოფელ ქისათიბში. ამდენად, საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობა აქვს, კიდევ უფრო აამაღლოს თავისი პროდუქციის ხარისხი და უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახადოს იგი.

მეორე სახის პროდუქცია, რითაც საქართველოს ევროპის ბაზრის დაინტერესება შეუძლია, თხილია. ჩვენი ქვეყნისათვის ეს პროდუქტი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საექსპორტო საქონლად მიიჩნევა. ამჟამად ქართული თხილი და კაკალი ძირითადად გერმანიაში გადის. დიდი ბრიტანეთი კი, რომელიც ამ პროდუქციის მსხვილი მომხმარებელია, მას თურქეთიდან, გერმანიიდან, დანიიდან და საფრანგეთიდან იღებს. მესამე მნიშვნელოვანი ქართული წარმოების პროდუქცია მინერალური წყლებია, რომლის საწარმოებლად საქართველოს ბუნებრივი უპირატესობა გააჩნია. ჩვენი ქვეყანა მდიდარია მიწისქვეშა წყლებით და ეს რესურსები საკმაოდ მაღალი ხარისხისაა. მაღალი მინერალიზაციით ხასიათდება ნაბეღლავის წყაროს წყალი. კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა ქართული „ბორჯომი“, „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, რომელთა წარმოების

სურვილი ბევრს უჩნდება, რის გამოც ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. „რუსეთის ბაზარზე ქართულ „ხვანჭკარას“ რუმინული, ბულგარული, უნგრული „ხვანჭკარაც“ უმშვენებს გვერდს.

სწორედ ეს პროდუქცია წარმოადგენს საქართველოს სავიზიტო ბარათს.

ექსპორტზე ორიენტაციის სტრატეგიის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. საგარო ვაჭრობის განხორციელებას შეიძლება ხელი შეუშალოს რამდენიმე ფაქტორმა, რის გამოც მომხმარებლები ზოგჯერ ეროვნულ ნაწარმს ანიჭებენ უპირატესობას. კერძოდ, ნაციონალიზმის გრძნობა, ეროვნული პროდუქციის სიკეთისადმი წრმენა, უცხოურ საქონელზე სათადარიგო ნაწილების მოპოვების სირთულე, ადგილობრივ გემოვნებასთან შეუსაბამობა და სხვა. გარდა ამისა, დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მიერ არჩეული სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა. საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის არჩევაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: იდეოლოგიური, ეკონომიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ლობისტური. საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და გატარებული ღონისძიებების სისტემა, რომელიც არეგულირებს: რა მოცულობით, რომელი საქონლით (მომსახურებით), რომელ ქვეყანასთან და რა ფორმით (რეჟიმით) ივაჭროს. მარეგულირებელი ბერკეტების გამოყენების დონე განსაზღვრავს, ქვეყნის საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა რომელი მიმართულებით იხრება მეტად ლიბერალურია, თუ მეტად პროტექციონისტული, ანუ როგორია სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები საგარეო ვაჭრობაში. საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა ორი ტენდენციის პროტექციონიზმისა და ლიბერალიზმის (ფრიტრედერობის) მუდმივი ურთიერთქმედებით ხასიათდება. რა პოზიცია უნდა დაიკავოს ქვეყანამ ექსპორტისა და იმპორტის მიმართ, როცა საკუთარი ეკონომიკა ჩამოყალიბების სტადიაშია, მსოფლიო ბაზარზე კი უძლიერესი ქვეყნები ბატონობენ? მაშასადამე, ერთი მხრივ, აუცილებელია ეროვნული წარმოების დაცვა უცხოური კონკურენციისაგან, ახალი დარგების დაცვა, სახაზინო შემოსავლების

მიღება საბაჟო გადასახადებისაგან, მეორე მხრივ, კი - აუცილებელია ლიბერალური პრინციპების დაცვა, რადგან პროტექციონისტულ ღონისძიებებს აქვს გარკვეული შეზღუდულობა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან შედარებით – ამასთან, ლიბერალიზაციას გვავალდებულებს მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების გარდაუვალი პროცესიც.

ცხადია, ის, რაც მიესადაგება ერთ ქვეყანას, არ გამოადგება სხვებს.ასათვალისწინებელია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის სპეციფიკურობები. ისე კი, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის არჩევისას პროტექციონიზმსა და ლიბერალიზმს შორის აუცილებელია გარკვეული პრაგმატიზმისა და სათანადო წონასწორობის დაცვა. ეს წონასწორობა ისეთი სახის უნდა იყოს, რომ მან არ ავნოს სუსტ სახელმწიფოებს და კიდევ უფრო არ გააძლიეროს ქვეყანათა უთანასწორობა. სახელმწიფო კანონებმა ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ბაზა უნდა შექმნას. საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში პროტექციონისტული და ლიბერალური მიმართულებების შეჯერებით შეიძლება მოიძებნოს ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი გარანტი იქნება. მართალია, არ არსებობს მზა რეცეპტი გარდამავალი ეკონომიკური პროცესების მრავალმხრივი სირთულეების დასაძლევად, მაგრამ მხედველობაშია მისაღები მსოფლიო გამოცდილება. საერთო ჯამში სწორად განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა საშუალებას მოგვცემს განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აქსელერაცია. განვითარებული ეკონომიკა მოამწიფებს და კანონზომიერ საფუძველს შექმნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის

ლიბერალიზაციისათვის. საგარეო სავაჭრო პოლიტიკას ახორციელებს სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, საჭიროა მისი როლის განსაზღვრა ექსპორტ-იმპორტის რეგულირების სისტემაში. რამდენადაც, საგარეო ვაჭრობას ეწევიან ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები (თანამედროვე პირობებში) სახელმწიფოს ამოცანაა მოვაჭრე პარტნიორების კომერციული საქმიანობის მაქსიმალური ხელშეწყობა. მაშასადამე, ერთ-

ერთი კონცეპტუალური პრინციპი საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში, არის სახელმწიფო მონოპოლიის უარყოფა. სახელმწიფოს როლი საგარეო სავაჭრო პროცესების რეგულირებისას შეიძლება იყოს ორგვარი – ხელშემშლელი და ხელშემწყობი. ქვეყნის მიერ ამ მიმართულებებით გატარებულ ღონისძიებათა მიზანია ისეთი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უმთავრესად მოცემული სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება. მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ იძლევა თავის საზღვრებზე საქონლის არარეგულირებადი ნაკადების მოძრაობის უფლებას.

შეზღუდვები დამახასიათებელია როგორც ექსპორტისათვის, ასევე იმპორტისათვის. სახელმწიფო თავის საგარეო სავაჭრო პოლიტიკას ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით ახორციელებს, როგორიცაა ტარიფი, სუბსიდია, ქვოტა, ემბარგო, ლიცენზია, სავალუტო კონტროლი, ადმინისტრაციული ბარიერები და სხვა. საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ყველაზე გავრცელებული და კლასიკური ინსტრუმენტია საბაჟო ტარიფები. საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეგულირებაში პრიორიტეტი სწორედ მას ეძლევა. არსებობს კანონი „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ“. ამ კანონის მიხედვით საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიზანს შეადგენს: ხელსაყრელი პირობები შეუქმნას მოვაჭრე სუბიექტებს და განახორციელოს საქონლის შემოტანა-გატანის რაციონალიზაცია, დაიცვას საქართველოს ეკონომიკა უცხოური კონკურენციის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან და უზრუნველყოს მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანი ინტეგრაცია. ბარიერების დემონტაჟის პირობებში სახელმწიფოები შიდა ბაზრის დასაცავად სულ უფრო მეტად მიმართავენ ე.წ. არასატარიფო ზომებს, რომლებიც მოიცავენ თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობისა და სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ფართო წრეს. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ არ არის დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის რეგულირებასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. ექსპორტის დროებითი შეზღუდვა განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის

ცალკეული სახეობების ექსპორტის დროს. სალიცენზიო სისტემა გულისხმობს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანიზაციების მიერ იმ საქონლის საგარეო სავაჭრო ოპერაციების წარმოებაზე ნებართვის (ლიცენზიის) გაცემას, რომელიც ჩართულია ექსპორტის სალიცენზიო სიაში. ქვოტა ზღუდავს საქონლის ექსპორტს ღირებულებით ან ფიზიკურ გამოსახულებაში და მოქმედებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. საექპორტო ქვოტები შეიძლება ადგილობრივი მომხმარებლებისთვის დაბალ ფასებში სასაქონლო მარაგების უზრუნველსაყოფად დადგინდეს, ეროვნული ბუნებრივი რესურსების გამოლევის საშიშროების გამო, აგრეთვე საზღვარგარეთის ბაზარზე მიწოდების შეზღუდვის გზით ექსპორტზე ფასების ასამაღლებლად განისაზღვროს ქვოტების სპეციფიკური სახეა ემბარგო, რომელიც გულისხმობს ვაჭრობის სრულ შეწყვეტას. ექსპორტზე სერიოზული ზემოქმედების მოხდენა შესაძლებელია სავალუტო რეგულირების მეთოდებით: სავალუტო შეზღუდვა, ვალუტის კურსის ცვლილება და ე.წ. მრავალფეროვანი სავალუტო კურსების სისტემის გამოყენება.

ექსპორტი ქვეყანაში წარმოების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია, ამიტომ სახელმწიფო დაინტერესებულია მის ზრდაში და ხელს უწყობს მას. მართალია, სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს ექსპორტის განვითარებაზე, მაგრამ მას სასურველი შედეგი მოაქვს: წარმოებისა და დასაქმების ზრდასთან ერთად, ვითარდება ეკონომიკა, იზრდება საგარეო ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავლები, აგრეთვე საგადასახადო შენატანები. ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების მექანიზმი მრავალფეროვანია და სხვადასხავა ფორმებით ხორციელდება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი ან რეექსპორტი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გარდა ამისა, 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება. თანამედროვე ეტაპზე ექსპორტის სტიმულირების საკმაოდ გავრცელებული და, ამასთან, აგრესიული ფორმაა პირდაპირი სუბსიდირება. სუბსიდირების მთავარი მიზანია

საქონელმწარმოებელთა ხელშეწყობა მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ამ დროს ექსპორტიორს ეძლევა საქონლის დაბალი, ხშირ შემთხვევაში თვითღირებულებაზე ნაკლები (დემპინგური) ფასით გაყიდვისა და ამით უპირატესობის მიღწევის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში სუბსიდიები განიხილება, როგორც კონკურენტული ბრძოლის „არაკეთილსინდისიერი“ მეთოდი. ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სისტემის განვითარებას (კრედიტებისა და სესხების გაცემის გამარტივებული პროცედურები), აგრეთვე უცხოურ დახმარებებს. ფართოდ გამოიყენება ექსპორტის შერეული დაკრედიტებაც. ექსპორტის დაკრედიტება შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საექსპორტო-საიმპორტო ბანკების (აშშ), ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სპეციალური სამმართველოების (ინგლისი).

საექსპორტო დაკრედიტების სახელმწიფო ქსელის (საფრანგეთი), ფირმა ექსპორტიორებ გერმანია) მიერ და ა.შ. სახელმწიფო საექსპორტო კრედიტს იძლევა კომერციულ ბანკებთან შედარებით უკეთესი პირობებით: დაბალი პროცენტითა და ხანგრძლივი ვადით. ექსპორტის დაკრედიტების მიზნით შეიძლება შეიქმნას სპეციალური ფონდებიც. ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების ერთ-ერთი ინსტრუმენტია დაზღვევა. ექსპორტის სახელმწიფო დაზღვევა ითვალისწინებს კომერციული და პოლიტიკური რისკების დაზღვევას. კომერციული რისკისაგან ექსპორტის დაზღვევის დროს კომერციული ბანკები შეღავათიან კრედიტებს გასცემენ სამთავრობო გარანტიებით. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ინვესტორების მოზიდვა და საიმედო კაპიტალდაბანდებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული წარმოების ამოქმედებას, ეროვნული პროდუქციის ხარისხისა და შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ, ექსპორტის წახალისებისა და შემდგომი განვითარების გარანტიაა.

დღეისათვის კი, საქართველოში, ექსპერტების შეფასებით, ჯერ კიდევ არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატია. საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ვითარდება იმ ფონზე, რომელიც შეიქმნა სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ. მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის ინტეგრირების ობიექტური აუცილებლობა საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციას მოითხოვს, მაგრამ სავაჭრო ბარიერების სისტემა არ უნდა იყოს იმდენად სუსტი, რომ საჭიროების შემთხვევაში ვერ შეძლოს ეროვნული წარმოების დაცვა. საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე. საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90 პროცენტზე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის გააქტიურებას და შეიძლება მოჰყვეს ის დადებითი შედეგები, რასაც ვაჭრობის ლიბერალიზაცია იწვევს. მაგრამ, მეორე მხრივ, როცა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ფუნდამენტური ეკონომიკური სექტორები, როცა ჯერ არ არის გამოკვეთილი პრიორიტეტული საექსპორტო საქონელთა ჯგუფი, რომელიც მყარი და სტაბილური უცხოური სავალუტო შემოსავლების მიღების გარანტია იქნება და როცა უკანასკნელი წლების მანძილზე ქრონიკულ მოვლენად იქცა საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შეიძლება აშკარად დათრგუნოს ადგილობრივი წარმოების განვითარების პერსპექტივა. ამიტომ სახელმწიფო კომპლექსურად უნდა მიუდგეს აღნიშნულ საკითხს და ოპტიმალური გადაწყვეტილებები მიიღოს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარებისა და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გატარების მიმართულებით.

2.2 საქართველოს ექსპორტის რეტროსპექტურლი ანალიზი

დღეისათვის მთელ მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს და უფრო და უფრო ღრმავდება მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ცალკეული ქვეყნების ინტეგრაციის პროცესი. სწორედ ამ პროცესში ჩაბმა და სწრაფი ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს უმნიშვნელოვანეს მიზანს. ასეთ დროს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება როგორც საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და უცხოური დაბანდებების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენას, ისე არსებული მდგომარეობის ანალიზსა და შეფასებას. საქართველო, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, აქტიურად აწარმოებდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. საქართველოსთვის, რომელიც დღეს თანდათან იკიდებს ფეხს მსოფლიო თანამეგობრობაში, თავის დასამკვიდრებლად მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რომლის ერთ-ერთ უძველეს ფორმას საგარეო ვაჭრობა წარმოდგენს. სწორედ საგარეო ვაჭრობა უნდა გახდეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც სამწუხაროდ, ჯერჯერობით არასასურველი ტენდენციით ვითარდება. იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას თანამედროვე პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, აუცილებელია საგარეო ვაჭრობის მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი 2014-2019 წლებში.[1]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაკეთებულია საგარეო ვაჭრობაში საქართველოს ექსპორტის რესტროსპექტული ანალიზი და დეტალურადაა განხილული გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა 2011-2019 წლებში; შესწავლილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდის დინამიკა მოცემულ პერიოდში და

[1] საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში.

გამოვლენილია ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები და საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის ძირითადი პარტნიორი ქვეყნები.

მილიონი აშშ დოლარი

	2014	2015	2016	2017	2018*	2019* იანვარი-მაისი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	11 462.9	9 505.0	9 406.7	10 678.1	12 477.6	4 959.4
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	2 861.0	2 204.7	2 112.9	2 735.5	3 354.5	1 466.7
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	8 601.8	7 300.3	7 293.8	7 942.7	9 123.1	3 492.8
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 740.8	-5 095.6	-5 180.9	-5 207.2	-5 768.6	-2 026.1
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1 818.8	1 604.2	1 621.2	2 010.1	2 225.1	938.6

აღნიშნული ცხრილიდან ჩანს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა, რაც მიუთითებს იმაზე რომ საქართველო უფრო და უფრო აქტიურად ერთვება გლობალიზაციის პროცესში,მაგრამ ასევე აშკარაა რომ შეინიშნება იმპორტის გაცილებით სწრაფის ზრდის ტენდენცია ექსპორტთან შედარებით რაც ასევე იწვევს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს ზრდას. [1] ასევე შეგვიძლია ვიხილოთ 2014-2019 წლებში ექსპორტ-იმპორტის ყოველთვიური დინამიკა აბსოლუტურ მაჩენებლებში და მათი პროცენტული ცვლილება

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
http://www.geostat.ge/

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.



საქართველოს სავაჭრო პარტიორებს შორის წამყვანი ადგილი მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, რაც გამოწვეულია არა მხოლოდ ძველი სავაჭრო ურთიერთობების ტრადიციით, არამედ იმითაც, რომ მათთან ვაჭრობა ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს და შედარებით მაღალი შემოსავლები მოაქვს, რისი გამოყენებაც ეკონომიკის შემდგომი განვითარების საშუალებას იძლევა. აქვე უნდა ითქვას, რომ მეზობელ ქვეყნებთან ექსპორტის განვითარებას გარკვეული უპირატესობები და წინაპირობები გააჩნია, კერძოდ, მრავალი წლების განმავლობაში ეს ქვეყნები წარმოადგენდნენ ქართული პროდუქციის გასაღების ბაზარს; ამ ქვეყნების ბაზარზე ქართული პროდუქცია მაღალი მოთხოვნილებით სარგებლობს, არა მარტო ხარისხის, არამედ ტერიტორიული სიახლოვის გამოც. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, როგორიცაა: ციტრუსი, ჩაი, ღვინო და ა.შ

განვიხილოთ 2012-2019(იანვარ-მაისის)მონაცემებზე დაყრდნობით ექსპორტი ქვეყნების

ჯგუფების მიხედვით.

წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019(1/4)
ექსპორტი სულ	2376635.37	2910314.5	2861045.179	2204685.3	2112912.763	2735486.5	3354490.1	1466684.94
ევროკავშირის ქვეყნები	352957.722	607204	624201.4174	645214.146	565521.7863	655116.06	730274.79	360890.451
დსთს-ქვეყნები	1244575.82	1621095.7	1465298.713	840936.645	737522.4055	1184758.1	1669472.9	748746.312
სხვა ქვეყნები	779101.825	682014.85	771545.0482	718534.508	809868.5709	895612.35	954742.44	357048.177

როგორც ცხრილიდან ჩანს დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა ყველა წელს აჭარბებს ექსპორტის მოცულობებს სხვა ქვეყნებში, რაც განპირობებულია პირველ რიგში ტერიტორიული სიახლოვის გამო და ასევე მეზობელი ქვეყნების და და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა მსგავსები გამო. ასევე აღსანიშნვია ის ფაქტიც რომ შეინიშნება ექსპორტის ზრდის ტენდენცია ევროკავშირის ქვეყნებში და ჩვენ უნდა ვეცადოთ უფრო მეტად დავუახლოვდეთ ევროპის ბაზარს.



2019 წლის პირველი კვარტლის მონაცებემიც ცხადყოფს რომ ჩვენი ექსპორტის უდიდესი ნაწილი მოდის დსთ-ს ქვეყნებზე, პირველ ადგილზე არის რუსეთი 14,9 %, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 11,5.



მართალია, ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში, რაზეც საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმოხილვაც მოწმობს, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა საექსპორტო პორტფელის მკვეთრი გაფართოება, რათა, როგორც მინიმუმ, გაგრძელდეს ეკონომიკური ზრდა და შემცირდეს ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდო. ამისათვის კი აუცილებელია გავიაზროთ ის პრობლემები, რაც ქვეყნის ექსპორტის ზრდას უშლის ხელს.[1]

ასევე განვიხილოთ ჩვენს მთავარ პარტნიორ ქვეყნებში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები.

[1] https://www.geostat.ge/media/23242/saqonlit-sagareo-vachroba_saqartveloshi-19.04.2019-%28geo%29.pdf?fbclid=IwAR0aInB23B-EqE9ZWe6KAUWCkd4itzf_iccMdghTvet8woAkj80vLDvlixI

რუსეთი

საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2018* წლის იანვარი-მარტი		2019* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	98 207.0		135 361.3	
მათ შორის:				
ფეროშენადნობები	34 600.4	28 889.1	38 300.8	34 875.9
ყურძნის ნატურალური ღვინოები	26 314.3	8 927.7	32 505.3	10 657.6
მინერალური და მტკნარი წყლები	12 052.8	17 123.2	15 282.9	21 852.8
ცენტრიფუგები	1 129.5	1.4	8 902.3	12.9
მედიკამენტები დაფასოებული	1 428.8	5.6	7 852.2	14.9
დანარჩენი საქონელი – სულ	22 681.1		32 517.7	

საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული ძირითადი პროდუქტებია ფეროშენდანობები, მე-2 ადგილზეა ღვინო ხოლო მე-3 ადგილზეა მინერალური წყლები და სხვა.

აზერბაიჯანი

საქართველოდან აზერბაიჯანში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2018* წლის იანვარი-მარტი		2019* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	76 408.0		84 904.8	
მათ შორის:				
მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	25 293.5	1 380	33 620.8	3 589
სიგარები, სიგარილები და სიგარეტები	14 275.8	774.8	10 700.6	542.0
მედიკამენტები დაფასოებული	7 389.2	340.1	8 145.1	221.1
აზოტოვანი სასუქები	542.5	2 862.5	2 315.9	12 041.0
სატვირთო ავტომობილები (ცალი)	850.5	135	2 071.1	287
დანარჩენი საქონელი – სულ	28 056.5		28 051.3	

აზერბაიჯანის შემთხვევაში, პირველ ადგილზეა მსუბუქი ავტომობილების რე ექსპორტი, შემდეგ მოდის სიგარები და მედიკამენდები .

საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2018* წლის იანვარი-მარტი		2019* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	85 402.8		57 258.1	
მათ შორის:				
ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	6 551.3	13 206.8	10 444.8	27 468.4
ტრიკოტაჟის ნაწარმი	11 048.5	399.2	9 361.3	415.6
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	18 485.9	13 564.2	7 119.7	4 608.8
ფეროშენადნობები	9 904.9	8 190.1	5 639.3	5 156.8
კოსტუმები, კომპლექტები, ტრიკოტაჟისა, ნაქსოვი, მამაკაცისა ან ბიჭისა	2 138.2	104.1	2 809.0	141.4
დანარჩენი საქონელი – სულ	37 274.0		21 884.0	

საქართველო-თირქეთის შემთხვევაში პირველ ადგილზე ნახევარფაბრიკატები შემდეგ მოდის ტრიკოტაჟის ნაწარმი და სპირელნძიი მადნები.

რეალური სიტუაციის წარმოსადგენად 2018 წლის იანვარ-მარტის მონაცემები შევადაროთ 2019წლიწ იანვარ-მარტის მონაცემებს, 2019 წელს 2018 წლის ამავე მონაცემებთანშედარებით გაზრდილია ექსპორტის მაჩვენებელი 12.8%. ზრდის ტენდენცია შეინშინება ყველა ქვეყანაში გადრდა თურქეთისა რომელთან ექსპორტის წილიც შემცირებულია.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2019 წლის იანვარ-მარტის ექსპორტის მიხედვით

	2018* წლის იანვარი-მარტი		2019* წლის იანვარი-მარტი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
ექსპორტი – სულ	732 090.2	100.0	826 006.2	100.0	12.8
მათ შორის:					
რუსეთი	98 207.0	13.4	135 361.3	16.4	37.8
აზერბაიჯანი	76 408.0	10.4	84 904.8	10.3	11.1
ბულგარეთი	62 940.0	8.6	68 141.0	8.2	8.3
სომხეთი	54 639.4	7.5	63 128.1	7.6	15.5
უკრაინა	31 453.5	4.3	62 330.1	7.5	98.2
თურქეთი	85 402.8	11.7	57 258.1	6.9	-33.0
რუმინეთი	27 215.3	3.7	45 524.0	5.5	67.3
აშშ	35 727.7	4.9	40 459.3	4.9	13.2
ჩინეთი	20 425.5	2.8	35 255.2	4.3	72.6
უზბეკეთი	12 145.2	1.7	20 873.2	2.5	71.9
დანარჩენი ქვეყნები – სულ	227 525.8	31.1	212 771.1	25.8	-6.5

2019 წლის იანვარ -მარტში ათი უმსხვილესი ქვეყნის საექსპორტო წილმა ექსპორტში 74.2 პროცენტი შეადგინა.

2019 წლის იანვარ-მარტში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 196.0 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 6.4 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 23.7 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 502.2 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (17.8 პროცენტით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.3 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 698.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 14.9 პროცენტით ჩამორჩება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-მარტში მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 26.5 პროცენტით განისაზღვრა. 2019 წლის იანვარ-მარტში, საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 416.1 მლნ. აშშ

დოლარის საქონელი, რაც 37.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 50.4 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 576.1 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (13.5 პროცენტით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 29.1 პროცენტია. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 992.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.4 პროცენტით მეტია, რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-მარტში, მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 13.8 პროცენტი იყო. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში.



ასევე განვიხილოთ უმსხვილესი საქონლის საექსპორტო წილი მთლიან ექსპორტში 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებზე დაყრდნობით.



აღნიშნულიდან ჩანს რომ პირველ ადგილზეა სპილენძის მადნების და მსუბუქი მანქანების რეექსპორტი, ხოლი ღვინის ექსპორტი 5,6 -ს შეადგენს.

მეტი თვალსაჩნოებისთვის შევადაროთ უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების ექსპორტის 2018 წლის იანვარ-მარტის მონაცემები 2019-წლის იანვარ მარტის მონაცემებს. ცხრილიდან ჩანს, რომ შეინიშნება ამ უმსხვილესი პროდუქტების ზრდის ტენდენცია და 2019 წლის მდგომარეობით მოცებული მონაცემები მეტია 2018 წლის მონაცემებზე, კლება შეინიშნება მხოლოდ ოქროს ექსპორტში.

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში

	2018* წლის იანვარი-მარტი		2019* წლის იანვარი-მარტი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
ექსპორტი – სულ	732 090.2	100.0	826 006.2	100.0	12.8
მათ შორის:					
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	118 772.1	16.2	135 554.9	16.4	14.1
მსუბუქი ავტომობილები	64 837.0	8.9	99 084.0	12.0	52.8
ფეროშენადნობები	85 147.4	11.6	95 611.3	11.6	12.3
მედიკამენტები დაფასოებული	28 235.9	3.9	52 355.9	6.3	85.4
ყურძნის ნატურალური ღვინოები	41 849.0	5.7	48 978.7	5.9	17.0
აზოტოვანი სასუქები	29 442.2	4.0	35 431.7	4.3	20.3
მინერალური და მტკნარი წყლები	23 918.4	3.3	29 796.7	3.6	24.6
სპირტიანი სასმელები	27 447.3	3.7	25 966.2	3.1	-5.4
სიგარები, სიგარილები და სიგარეტები	20 722.6	2.8	20 309.0	2.5	-2.0
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით	20 015.8	2.7	16 562.0	2.0	-17.3
დანარჩენი საქონელი – სულ	271 702.3	37.1	266 355.6	32.2	-2.0

2.3 ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული ძირითადი დარგები და აგროპროდუქტები

ზემოთ ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე საქართველოს, როგორც აგრარული ქვეყნის, პრიორიტეტად უნდა იქცეს ისეთი აგრარული პროდუქტის წარმოება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიო ბაზარზე. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ისეთი შეღავათიანი სატარიფო და საგადასახადო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს აგრარულ სექტორში საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაზრდას. ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა არის

უცხოური ინვესტიციების შემოდინების მნიშვნელოვანი წინაპირობა.

აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნებში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების დემონსტრირებას და ხელს შეუწყობენ ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის აგრარულ სფეროში, რაც ასევე თავის მხრივ აამაღლებს მოსახლეობის დასაქმებასა და ცხოვრების დონეს. აუცილებელია, ქვეყანაში შემუშავებული იქნეს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების კომპლექსური პროგრამა აგრარული სფეროში, რომლის ცხოვრებაში გატარებაც უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოების, მოსახლეობის მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის პოზიციების გამტკიცებას. ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭიროა იმ სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების რეაბილიტაცია და საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვა, რომელის განვითარებისათვის არსებობს სათანადო სანედლეულო ბაზა და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ სფეროების მხარდაჭერაზე, რომლებშიც საქართველოს საერთაშორისო მასშტაბით აქვს კონკურენტული უპირატესობა. მაგალითად, ხილის, თხილის და ყურძნის წარმოების გაზრდა იმ დონემდე, რაც შესაძლებელს გახდის ამ კატეგორიის პროდუქციის ან მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ექსპორტს. ციტრუსები საქართველოში მრავალი წელია საექსპორტო შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროა. უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისა და ბაღების მოვლის სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ეს სფერო შეიძლება მნიშვნელოვნად განვითარდეს.



2019 წლის იანვარ მარტის მონაცემებზე დაყრდნობიტ უფრო დეტალურად განვიხილოთ ძირითადი საექსპორტო პროდუქტები.

ყურძნის მოყვანა საქართველოში ერთ-ერთი ტრადიციული და ამავდროულად, პერსპექტიული სფეროა. 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ექსპორტირებული საქონლის 5.9% შეადგენს ღვინის ექსპორტირება. მსოფლიოს 44 ქვეყანაში

როგორც უკვე აღვნიშნეთ ღვინის წარმოება ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია საქარტველოში, ამ ეტაპზე ის მე-5 ადგილს იკავებს. ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 6%-ით ხოლო ღირებულება 9%-ით გაიზარდა,სულ 40,5 მლნ-მდე .[1] ბოთლი(0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული რამაც დაახლოებით 98 მლნამდე დოლარამდე შემოსავალი მოუტანა ქვეყანას. ქართული ღვინის რეალიზაცია გაზრდილია არა მხოლოდ

[1] http://georgianwine.gov.ge/Ge/News/26631

ტრადიციული ბაზრების მიმართულებით არამედ ა.შ.შ-ს და ასევე ევროპის ქვეყნების მიმართულებით.

ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეული კი ასე გამოიყურება, პირველ ადგილზეა რუსეთი[1], (25,582,488)შემდეგ უკრაინა(3,752,488), ჩინეთი(3554127) პოლონეთი(1,821,802) და ყაზახეთი(1,656,318)

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბარზებზე ა,შ,შ 88% (354874). ჩინეთი 19%(3,554,127) და პოლონეთი 16%(1,821802). ზრდა ასევე აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი: 120% (55908), ლიეტუვა 68% (315 306), ბელარუსი (889 002)

ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს „ქინძმარაული“-7,304 286 ბოთლი, „მუკუზანი“-2,328,699) და „წინანდალი“-1,829,563),[2] ახაშენი 750 244, ხვანჭკარა 480 890 ბოთლი.

ბოლო 6 თვის მონაცემებით სხვადასხვა მოცულობის ღვინო მსოფლიოს სხვა ქვეყნებში 229 კომპანიამ გაიტანა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის თანახმად ქართული ღვინის ტოპ 5 ექსპორტიორი კომპანიებია:

ს.ს თბილღვინო

ს.ს თელიანი ველი

შ.პ.ს ბადაგონი[3]

შ.პ.ს ტიფლისკი ვინნი პოგრებ

შ.პ.შ კახური ტრადიციული მეღვინეობა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია თხილის ექსპორტი. შემდეგ მოდის თხილის ექსპორტი მაგრამ წინა წელთან შედარებით, მისი ექსპორტი საგრძნობლად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველა თხილი საექსპორტო პროსუქციის ათეულში ვერ

[1] http://data.gov.ge/DataSets/Browse/a134e575-3b55-4ca0-9bbf-2f067a1487ed
[2] http://www.tabula.ge/ge/story/151705-ghvinis-saagento-bolo-6-tveshi-ashsh-is-chinetis-da-polonetis-bazrebze-eqsporti
[3] https://forbes.ge/news/3339/Rvinis-10-yvelaze-msxvili-eqsportiori-kompania

შევიდა.[1] 2018 წელს თხილის ექსპორტი 2017 წელთან შედარებით 30,5 %-ით შემცირდა, სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით 2018 წელს თხილის ექსპორტმა მთლიანი ესქპორტის 1.7% დაიკავა, რაც გამოწვეული იყო დასავლეთ საქართველოში ფაროსანას ფართო გავრცელებით, რამაც შეამცირა ქვეყანაში თხილის წარმოების მოცულობა. თუმცა 2014 წელს ასოცირების შეთანხმების სავაჭრო კომპონენტის (DCFTA) ამოქმედების შემდეგ ევროკავშირის ბაზრის მიმართ ქართველი მეწარმეების ინტერესი სულ უფრო მეტად იზრდება. ქართული აგროპროდუქციის ევროკავშირში ექსპორტს ძირითადად აფერხებს: პროდუქტის დაბალი ხარისხი, ლოგისტიკური საკითხები, მეწარმეებში ევროპის ბაზრების შესახებ მწირი ინფორმაცია და ქართული პროდუქციის დაბალი ცნობადობა ევროპელ მომხმარებლებში. გარდა ამისა გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, თუ აქამდე ქართული თხილი სოფლის მეურნეობის იმ გამონაკლის პროდუქტებს შორის იყო, რომელთა ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებშ ხორციელდებოდა 2018 წლეს ეს ტენდენცია შეიცვალა. ევროკავშირი აღარ არის ქართული თხილისთვის მთავარი ბაზარი, იგი რუსეთმა ჩაანაცვლა ასე ,რომ ქართული თხილი ძირითადად ექსპორტზე გადის რუსეთში, უკრაინასა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში სადაც თხილის ხარისხზე მოთხოვნები შედარებით დაბალია. თხილის საექსპორტო ფასია 5,3-5,5 დოლარი, (კგ).

ქართული თხილის ექსპორტის მოცულობის შემცირება გამოწვეულია ასევე მეზობელ თურქეთში თხილის ფასი, რაც უფრო იაფია ამ ქვეყანაში თხილის ფასი მით უფრო უჭირს საქართველოს კონკურენციის გაწევა, შესაბამისად მცირდება ექსპორტიც.[2]

2016 წლის მონაცემებით, საქართველო ევროკავშირში თხილის ექპორტიორი ქვეყნების ხუთეულში შედიოდა და თურქეთის შემდეგ თხილის ყველაზე დიდი მომწოდებლად მიიჩნეოდა.. მიუხედავად იმისა რომ დღევანდელი მდგომარეობით ექსპორტის მოცულობა საგრძნობლად არის ჩემცირებული საქართველოს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს

[1] http://bfm.ge/2018-wels-qartuli-tkhilis-eqsporti-305-it-shemcirda/
[2] http://www.moa.gov.ge/

მეთხილეობის განვითარების და სწორი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია არსებული სიტუაციის გამოსწორება.

eugeorgia.info-მ, როგორც დამოუკიდებელი, ასევე ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტის ხელშეწყობის ცენტრის კვლევებზე დაყრდნობით ევროკავშირში ქართული პროდუქციისთვის ნიშურ ბაზრებზე რამდენიმე სტატია მოამზადა. [1]

ქართული ცხვრის საექსპორტო არეალი დიდია: ირანი, აზერბაიჯანი, ომანი, იორდანია, ლიბანი, ეგვიპტე, ყატარი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები. ეს ის შემთხვევაა, როცა ბაზარმა პროდუქტი თვითონ მოძებნა და ქართულმა ცხვარმაც არაბული ქვეყნების ბაზარზე ავსტრალიური, უკრაინული და ბრაზილიური ცხვრის ექსპორტი წარმატებით ჩაანაცვლა. ,,აგრო-განვითარების ჯგუფის'' ხელმძღვანელობის აზრით, არაბი ბიზნესმენების მზარდ ინტერესს ქართული ცხვრის იმ საგემოვნო თვისებებით ხსნის, რომელიც ქართული ცხვრის ხორცს გააჩნია. გარდა ამისა, ქართულ ცხვარს ახასიათებს მაღალი შემგუებლობის უნარი და სტრესებისადმი მდგრადია. ქართული ცხვრის მთავარი უპირატესობას კი ალბათ მისი სიიაფე და საქართველოდან არაბულ ქვეყნებში ტრანსპორტირების დაბალი ღირებულებაა. არაბი ბიზნესმენები აქ ცხვარს [2]იაფად ყიდულობენ, საკუთარ ქვეყნებში კი ბევრად ძვირად ყიდიან. აქვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ არაბი ბიზნესმენები მხოლოდ მსხვილი გარიგებებით ინტერესდებიან და ძირითადად მამალ ცხვრებსა და თოხლებს ყიდულობენ (მ. ლომთაძე, თ. ბიძინაშვილი 2017). ექსპერტთა აზრით, ნედლეულის გადამამუშავებელი წარმოების განვითარების შემთხვევაში ცხვარი, შესაძლოა უფრო ფასეულ პროდუქტადაც იქცეს და ფერმერმაც, სახელმწიფო ბიუჯეტმაც და ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში დასაქმებულმა ადამიანებმაც უფრო მეტი მოიგონ. ,,გადამამუშავებელი წარმოების განვითარებას

[1] https://jam-news.net/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%91/?lang=ka

[2] მ, ლომთაძე, თ. ბიძინაშვილი 2017

სერიოზული სარგებლობის მოტანა შეუძლია. თუშური ცხვრის მატყლზე, როგორც სახალიჩე დანიშნულების ნედლეულზე, ყოველთვის დიდი მოთხოვნა იყო. 1 ცხვარზე საშუალო წლიური ნაპარსი 2,3-2,5 კგ-ია. ე.ი. ამჟამად საქართველოში შეიძლება 1-1,2 ათასი ტონა მატყლი გადამუშავდეს. გარდა ამისა, ცხვარს წველიან და მისგან დამზადებული ყველი საუკეთესო გემოთი გამოირჩევა. რაც მთავარია, რაც უფრო ინტენსიურად მუშაობს გადამამუშავებელი წარმოება, მით უფრო ექცევა ყურადღება ცხვრის ჯიშობრივი და ხარისხობრივი თვისებების გაუმჯობესებას ვითარდება სელექციური მუშაობა და ზოგადად დარგიც ვითარდება (მ. ლომთაძე, თ. ბიძინაშვილი 2017). მეცხვარეთა[1] ასოციაცია ყურადღებას კიდევ ერთ ფაქტორზე ამახვილებს: „არაბულ ქვეყნებში ცხვარი ძირითადად რელიგიურ დღესასწაულებზე იკვლება. რიტუალის თანახმად, ცხვარი ადგილზე უნდა დაიკლას. ამიტომ, არაბებს ურჩევიათ საქართველოდან ცოცხალი ცხვარი გაიყვანონ და იქ დაკლან. მით უმეტეს, რომ ფოთის პორტიდან ტრანსპორტირება არც ისე ძვირია“. 2018 წელს ექსპორტირებული ცოცხალი ცვრის რაოდენობამ 66917 შემოსავალმა კი 4,1 მლნ ა.შ.შ დოლარი შეადგინა.

ასევე შეგვიძლია ვიხილოთ ექსპორტირებული ცხვრების სტატისტიკა 2013-2018 წლებში:

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018
სული	191 369	242 778	242 115	158 684	90 911	66 917
ათასი აშშ დოლარი	15 547	21 040	19 678	10 525	6 526	4 138

რას მიანიშნებს იმაზე რომ ექსპორტი ამ წლების განმავლობაშ საგრძნობლად შემცირებულია, ერთ ერთი მიზეზია მისი ფასის ზრდა, ექსპერტების აზრით, ქართული ცხვრის ღირებულებას საძოვრებზე არსებული მაღალი გადასახადები და საკვების სიძვირე

[1] https://factcheck.ge

ზრდის. მისი ფასი დაახლოებით 200 ლარს შეადგენს, ქართული ცხვრის გაძვირებას მისი რეალიზაციის პრობლემა მოჰყვა. ამჟამად ქართული ცხვარი ექსპორტზე მხოლოდ აზერბაიჯანსა და ირანში გადის. ქართული ცხვრის სტაბილური საექსპორტო ბაზრის სტატუსს აზერბაიჯანი ჯერჯერობით ისევ ინარჩუნებს. მეცხვარეთა ასოციაცია დარგის განვითარების ერთ-ერთ შესაძლო შემაფერხებელ გარემოებად ასახელებს იმას, რომ „სომხური ცხვარი ექსპორტზე საქართველოდან გადის და რაც მთავარია, გადის როგორც ქართული ცხვარი. რამდენიმე არაბული ქვეყანა, მათი ჯანმრთელობის (ეპიზოოტური) პრობლემების გამო, ქვეყნის შიგნით სომხური ცხვრის შეყვანას საერთოდ კრძალავს. ამიტომ სომხური ცხვარი არაბულ ქვეყნებში გადის როგორც ქართული ცხვარი, რაც შესაძლოა, ქართული მეცხვარეობის განვითარებისთვის ახალი დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდეს: თუ რომელიმე არაბულ ქვეყანაში დაავადებული „ქართული“ ცხვარი მოხვდება, 5 წლის განმავლობაში, საქართველოდან ცხვრის ექსპორტი აიკრძალება“. მეცხვარეთა ასოციაციის ინფორმაციით, ხშირია საქართველოს გავლით სომხური ცხვრის არა მხოლოდ არაბულ ქვეყნებში, არამედ აზერბაიჯანში გაყვანის მცდელობაც. აზერბაიჯანის ბაზრის დაკარგვა კი საქართველოს შესაძლოა მეცხვარეობის განადგურებად დაუჯდეს. მაგრამ საიმედოდ გამოიყურება ის ფაქტიც რომ, ხორციელდება მატყლის და დაკლული ცხვრის ხორცის ექსპორტი, რაც არსებულ მდგომარეობას ამსუბუქებს.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქტების წარმოებას, ქვეყანას ამ მხრივ დიდი პოტენციალი გააჩნია. ქვემოთ მოყვანილია ის ძირითადი პროდუქტები, რომლებიც ამჟამად იწარმოება საქართველოში და წარმატებით გადის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ხილის ჩირი. ევროკავშირი მსოფლიოში ხილის ჩირის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია. ძირითადად, ქლიავის, ხურმის, ვაშლის, ბანანის, ფინიკის, ლეღვის, ფორთოხლის, გრეიპფრუტის, გარგარისა და მსხლის ჩირის იმპორტი ხდება. იმპორტში ყველაზე დიდი წილი (25%) დიდ ბრიტანეთს უკავია. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი, გვატემალა, კოლუმბია, ბანგლადეში და ეკვადორი.

მოცვი/ლურჯი მოცვი. მოცვის წარმოების კომერციალიზაცია საქართველოში ახლახან დაიწყო, თუმცა ექსპორტის მაჩვენებელი მზარდია, ლურჯ მოცვზე საერთაშორისო მოთხოვნაც სწრაფად იზრდება, 2014-2018 წლებში ევროკავშირში მოცვის იმპორტი გაორმაგდა. საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე კონკურენტული უპირატესობაც აქვს ქართული მოცვი მწიფდება რამდენიმე კვირით ადრე, ვიდრე ევროკავშირის მთავარ მიმწოდებელ ქვეყნებში პოლონეთში, ნიდერლანდებსა და ესპანეთში. მაისის ბოლოდან ივლისის შუა რიცხვებამდე ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ საკუთარი პროდუქტი ევროპელ მომხმარებლებს შესთავაზონ ამ დროს ევროპაში კენკროვანი კულტურების კრეფის სეზონი ჯერ არ დაწყებულა, ამასთან, დამთავრებულია მოსავალი ლათინურ ამერიკაში, საიდანაც ხდება კენკროვანების ექსპორტი.

კივი. ახალი ზელანდიელების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კივის მოსაყვანად ყველაზე კარგი კლიმატი ახალი ზელანდიის შემდეგ საქართველოში, კერძოდ, ფოთი-ზუგდიდი-გალი-ოჩამჩირის ტერიტორიაზეა. ქართული კივის ერთერთი უპირატესობა მაღალი შაქრიანობაა. იტალიური კივის შაქრიანობის მაჩვენებელი 13,9%-ია, ქართულ კივის სიტკბოს შემცველობა კი 17,3%-ს შეადგენს. დღეს კომპანია "ნერგეტა" ერთადერთია,[1] რომელიც ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში მოწეულ კივის ევროკავშირში ყიდის. „ნერგეტას" კივი უკვე მეორე წელია გერმანიაში Lidl-ის სუპერმარკეტებში - ბავარიაში, მიუნხენში, შტუტგარტში, დიუსელდორფში, დორტმუნდსა და სხვა ახლომდებარე ქალაქებში ბერძნული და იტალიური კივის გვერდით იკავებს ადგილს. კომპანიას ხარისხის დამადასტურებელი სტანდარტი "გლობალ გეპიც" აქვს დანერგილი.

ბროწეული. ევროკავშირი ბროწეულის იმპორტს მთელი წლის განმავლობაში ახორციელებს, ყველაზე დიდი მოცულობით-მაისში. პიკურ პერიოდში საბითუმო ფასი კილოგრამზე 1,80 - 3 ევრომდე (ჯიშის მიხედვით) მერყეობს. ყველაზე პოპულარულია

[1] http://eugeorgia.info/ka/article/433/saeqsporto-potencialis-mqone-agroproduqtebi-da-nishuri-bazrebi-evrokavshirshi/

სახეობა-Wonderful. ბროწეული ევროპელებისთვის ეგზოტიკური ხილის კატეგორიაში გადის, მაღალ საფასო სეგმენტში იყიდება და მოთხოვნაც იზრდება. ევროპაში მთავარი მწარმოებელი ესპანეთია, სეზონი იქ ოქტომბრიდან იანვრამდე გრძელდება, ამ პერიოდში ბაზაწერი ევროკავშირში საკმაოდ კონკურენტულია, ამიტომ ექსპორტის განხორციელება არასეზონზე უფრო მეტად მიზანშეწონილია. თუმცა, შესაძლებელია ფასებით კონკურენციაც. ბროწეულისგან წარმოებული პროდუქცია სულ უფრო პოპულარული ხდება, წვენებში, სურსათის დანამატების სახით ტკბილეულსა და რძის პროდუქტებში (ჩრდილოეთ ევროპაში) და სოუსებში, საკმაზებსა და ბურღულეულში (სამხრეთ ევროპაში). დიდ ბრიტანეთში, სუპერმარკეტებში 100 გ დაფასოებული ბროწეულის მარცვლები 1,5 სტერლინგი ღირს.

კურკოვანი კულტურები. კურკოვანი კულტურა (ატამი, ვაშლატამა, ქლიავი, გარგარი და ალუბალი) ევროპის არა ერთ ქვეყანაში მოდის, ამიტომ ევროკავშირში განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტი მხოლოდ არასეზონზე-იანვრიდან-მარტამდე ხდება, როდესაც დეფიციტია, თუმცა, წლის ამ მონაკვეთში დეფიციტია საქართველოშიც, ამის მიზეზი პროდუქტის მცირე რაოდენობა და სამაცივრე მეურნეობების არარსებობაა.

ვარდის ზეთი. ევროპაში 1კგ ვარდის ზეთის ღირებულება, ადგილწარმოშობის მიხედვით, $7 000-10 000 აღწევს, განსაკუთრებულად ფასობს, თუ ის ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტია. ათასობით სახეობიდან კომერციულად ღირებული მხოლოდ სამი ჯიშის ვარდია - Rosa damascena (დამასკოს ვარდი) , Rosa centifolia და Rosa gallica (მაისის ვარდი). „დამასკოს ვარდის“ კულტივაციას ბულგარეთსა და თურქეთში 60 მისდევენ, „გალიკას“ კი - მაროკოში, ეგვიპტეში, ინდოეთსა და მცირე რაოდენობით - საფრანგეთში. თუმცა, მსოფლიო ბაზარს, თითქმის 100%-ით, ორი ტრადიციული მწარმოებელი - ბულგარეთი (40%) და თურქეთი (60%) - ინაწილებს. საქართველოში ვარდის ზეთის წარმოება არ არის განვითარებული, ერთ-ერთი კომპანია, რომელიც ვარდის ზეთის

წარმოებას იწყებს კახეთში კომპანია „კახეთი ბიოა“, რომელიც პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტსაც გეგმავს გერმანელი პარტნიორის დახმარებით. სტაფილოს თესლის ზეთი. ჰოლანდიური კვლევითი ცენტრის (CBI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მსოფლიო ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა სტაფილოს თესლის ზეთის დეფიციტია და წარმოება ბაზრის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს.

სტაფილოს თესლის ზეთი ძირითადად კოსმეტიკასა და თავის მოვლის სხვა საშუალებებში გამოიყენება. ევროპული ორგანიზაცია ევროპისა და აზიის ქვეყნებს მოუწოდებს, დაინტერესდნენ ამ საკითხით და დაიწყონ სტაფილოს თესლის ზეთზე მუშაობა, რადგან ამით ევროპის ბაზარზე დამკვიდრების უნიკალური შესაძლებლობა ეძლევათ.

ჩაი. მსოფლიოში ბიო ჩაის დეფიციტია და დარგის სპეციალისტების თქმით, საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია, ვინაიდან ყველაზე ჩრდილოეთით წარმოების წერტილია, მავნებელი მწერებისგან დაავადებების რისკიც ნაკლებია, და ამიტომ პესტიციდების გამოყენებაც შეიძლება მინიმალური იყოს. ამასთან, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ქართულ ჩაიში ნაკლები ექსტრაქტულობაა, ანუ კოფეინის და ტანინის შემცველობა მცირე დოზითაა, ამის გამო დღის განმავლობაში ქართული ჩაის მრავალჯერადი მოხმარება მავნებელი არ არის. [1] საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს ქვეყნიდან 3,6 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა, 2017 წელს კი, ექსპორტი 2,4 მილიონი დოლარი იყო.

მწვანილი. “ქართული მწვანილი მოდის წელიწადის ძალიან კარგ დროს: სექტემბრიდან-მაისამდე, ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპას მწვანილი სჭირდება”- ასე შეაფასა ჰოლანდიურმა კომპანიამ bilancia ქართული მწვანილი, მას შემდეგ რაც ევროკავშირში

[1] https://imedinews.ge/ge/ekonomika/94122/saqartvelodan-chais-eqsporti-gaormagda

რეალიზაციის პოტენციალი შეისწავლა. კვლევის თანახმად, ქართულ 61 მწვანილს შეუძლია ევროპული ბაზრის 0,2% დაიკავოს, 1 კგ-ის მინიმალური ფასი 2-3, მაქსიმალური კი - 6 ევრო იქნება. საუბარია ოხრახუშის, კამის, ქინძისა და რუკოლას წარმოებაზე. რუკოლა საქართველოსთვის არატრადიციული სახეობაა, თუმცა ძალიან პოპულარულია იტალიასა და საფრანგეთში, ძირითადად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ეგვიპტესა და თურქეთში მოდის. bilancia-ს დასკვნით, ქართული მწვანილის ხარისხი კარგია და სასათბურე მეურნეობებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და სათანადო მოვლის შემთხვევაში, წარმოების მოცულობის 50%-ით გაზრდაც შეიძლება. ჰოლანდიური კომპანიის რეკომენდაციით, აუცილებელია, რომ ფერმერებმა კოოპერატივი დააფუძნონ, რაც შეამცირებს ახალი ტექნოლოგიებისა და GLOBAL GAP-ის სტანდარტის დანერგვის ხარჯებსა და წარმოების მოცულობასაც გაზრდის (მ. გაბულდანი 2016).

დაფნა. ევროპის ბაზარი: Eurostat-ის მონაცემებით, თურქეთისა და ინდოეთის შემდეგ, ევროკავშირის ბაზარზე განვითარებადი ქვეყნებიდან მე-3 ადგილს ქართული დაფნის ფოთოლი იკავებს. ექსპორტირებული 76%-დან 70% მხოლოდ თურქეთიდან შეტანილი დაფნის ფოთოლზე მოდის, თუმცა, ხშირად ევროპის ბაზარზე თურქული პროდუქტის სახელით ქართული დაფნაც ხვდება. დაფნის კულტურა ძირითადად თურქეთის ანატოლიის რეგიონსა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში ხარობს. საქართველოში კი, ძირითადად, სამეგრელოში, ხობის რაიონში მოდის, ასევე, მცირე რაოდენობითაა იმერეთში (თერჯოლა), გურიასა და აჭარაში.

ბიოღვინო. განვითარებადი ქვეყნებიდან ორგანული ღვინის ექსპორტის ყველაზე დიდი პოტენციალია ნორვეგიაში, შვედეთში, ფინეთში, დანიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ავსტრიასა და ბენილუქსის ქვეყნებში. გერმანია მსოფლიოში ორგანული ღვინის წამყვანი იმპორტიორია, წლიურად, დაახლოებით, 30 მილიონ ბოთლს ყიდულობს, ძირითადად, იტალიიდან და ესპანეთიდან, ვინაიდან, ევროპაში, ორგანული ღვინის

ყველაზე მსხვილი მწარმოებლები ესპანეთი, საფრანგეთი და იტალია არიან. იმის მიუხედავად, რომ ორგანული ღვინო მაინც რჩება ნიშურ ბაზრად, ზოგიერთ ქვეყანაში და მათ შორის: ნიდერლანდებში, გერმანისა და სკანდინავიის ქვეყნებში (დანია, ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი) უკვე კარგად აქვთ ჩამოყალიბებული ორგანული ღვინის ბაზარი.

ევროკავშირის ბაზრებზე ყველაზე ძლიერი კონკურენტი თურქეთია, თუმცა ქართული თხილის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს მისი მაღალი ცხიმიანობა, რაც 7-8%-ით მეტია თურქული თხილის სახეობებთან შედარებით. აღნიშნული უპირატესობის გამოყენება შესაძლებელია წარმატებული საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიისთვის. თხილთან ერთად მსოფლიო ბაზარზე კაკალსა და ნუშზე მოთხოვნაც ყოველწლიურად იზრდება. ევროკავშირში ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარია გერმანია, რომელსაც ნუშის წარმოება არა აქვს და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. გერმანიაში მიწის თხილის შემდეგ ყველაზე დიდი ოდენობით ნუშს მოიხმარენ. ევროპაში ნუშის მთავარი მიმწოდებელი ამერიკის შეერთებული შტატებია, რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ევროკავშირის ქვეყნებში ნუში გააქვთ ირანს, სირიას, ჩილეს, უზბეკეთს, ავღანეთს, პაკისტანს, ყირგიზეთს, ინდონეზიასა და ბურკინა ფასოს.

თაფლი. ევროპის ბაზარი: ევროკავშირი მსოფლიოში თაფლის მოხმარებით პირველ ადგილზეა, გაზრდილი მოხმარებისა და შიდა წარმოების შემცირების გამო ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას და მოხმარებული თაფლის დაახლოებით 40%-ს სხვა ქვეყნებიდან ყიდულობს. გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბაზრები ინაწილებს თაფლის მთლიანი იმპორტის დაახლოებით 50%-ს. ხარისხთან დაკავშირებული შენიშვნების მიუხედავად, ჩინეთი რჩება ევროკავშირისთვის ყველაზე მსხვილ მიმწოდებლად. ჩინეთს ყოველწლიურად 83 ათას ტონაზე მეტი თაფლი შეაქვს, რაც მთლიანი იმპორტის 26%-ია. ჩინური თაფლის 63 მიწოდება სტაბილურია, ფასები კი დაბალი, იაფი მუშა ხელის გამო. განვითარებადი ქვეყნებიდან სხვა მიმწოდებლებს შორის

არიან: მექსიკა (8%), არგენტინა (3%) და ტაილანდი (2%). ბოლო პერიოდამდე, არგენტინა იყო თაფლის ერთ-ერთი წამყვანი მიმწოდებელი ევროკავშირში, 2010 წლამდე კი-სიდიდით მეორე. თუმცა ცუდმა კლიმატურმა პირობებმა და არგენტინულ თაფლში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობამ შეამცირა მისი მოხმარება ევროპაში.

გლობალური კონკურენციის პირობებში მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისთვის არსებითი ფაქტორია თავისუფალი კონკურენცია, რაც განპირობებულია ქვეყანაში პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განვითარებით, პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებით, კონკურენტული ფასების დაწესებით, საწარმოო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, პროდუქტიულობის ამაღლებითა და ინოვაციური იდეების გენერირებით. მინერალური წყლების ბაზარი დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ბაზარია,მით უფრო, რომ ბევრი ქვეყნისთვის სასმელი წყლის დეფიციტის პრობლემა სულ უფრო და უფრო მწვავეხდება და მისი გადაჭრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

შესაბამისად, მეტად საყურადღებოა ამ კუთხითმსოფლიო ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მინერალური წყლების ბაზრისშესწავლა და აღნიშნული პროდუქტის საექსპორტო პოტენციალის შეფასება. ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიების მაქსიმალური ხელშეწყობა, ეფექტიანი საკრედიტოსისტემის ამოქმედება, საგადასახადო შეღავათების დაწესება, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა,სარეკლამო კამპანიების ორგანიზება, უცხოური ბრენდების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების შესწავლა და გამოყენება. სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის სტიმულირება ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდისა და სურსათის ადგილობრივი წარმოების შემდგომი გაფართოების საფუძველი გახდება უნდა აღინიშნოს, რომ მინერალური წყლები საკვებ პროდუქტთა ჯგუფს მიეკუთვნება შესაბამისად, მარკეტინგული დაგეგმვისა და მენეჯმენტის პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, ყველა დანარჩენ ფაქტორთან ერთად, მისი ადგილი და როლი

ადამიანის კვების რეჟიმში ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები უნდა ხასიათდებოდეს კვებითი ღირებულებით დაემსახურებოდეს ჯანმრთელობის შენარჩუნებას ვინაიდან საქართველოში არსებული მინერალური წყლები გამოირჩევა მაღალი ფიზიოლოგიური აქტივობით და თვისებებიდან გამომდინარე, მიეკუთვნება ფუნქციონალური კვების პროდუქტების რიცხვს, მიზანშეწონილია განვიხილოთ მისი კონკურენტუნარიანობა და ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

ფირმის საქმიანობაზე გავლენას ახდენს გარემო პირობები. იმისათვის, რომ კომპანიამ კონკურენცია გაუწიოს როგორც სამამუმო, ასევე საერთაშორისო ფირმებს აუცილებელია ბაზრის ანალიზი, რომლის მიზანიაგანისაზღვროს ფირმის ადგილი ბაზარზე და განვითარების შესაძლებლობები [4, გვ 77]. დღეისათვის ქართული მინერალური წყლების ბაზარზე ექსპორტის ზრდით გამოირჩევა „ბორჯომი“,„ნაბეღლავი“ და „საირმე“.

2006 წელს რუსეთის ბაზარზე ემბარგოს გამოცხადების შემდეგ „ბორჯომმა“ განახორციელა სრულირებრენდინგი. ბრენდი განახლებული სახით წარსდგა მომხმარებლის წინაშე, დაიგეგმა აქტიური მარკეტინგული კამპანიები სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებში. აღნიშნულის შედეგად, „ბორჯომზე“ მოთხოვნა ბოლო წლებში ზრდადია და დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში გაყიდვების მიხედვით პირველ ადგილზეა.[1]

მოთხოვნის ზრდაზე მიუთითებს საქსტატის ინფორმაციაც, რომლის თანახმად, 2019 წელს 27,233 მლნ ლიტრი (17, 851 მლნ დოლარი) პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა, რაც 31%-ით მეტია, გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. 2018 წლის იანვარ-თებერვალში ქვეყნიდან სულ 20,798 მლნ ლიტრი (13,741 მლნ დოლარი) მინერალური და მტკნარი წყლები გავიდა.

რაც შეეხება წლიურ მაჩვენებლებს, 2017 წელს ჯამში, 147, 223 მლნ ლიტრი მინერალური და მტკნარი წყლის ექსპორტი განხორციელდა, რაც ფინანსური მაჩვენებლებით 95,776 მლნ დოლარს შეადგენდა. 2018 წელს კი, 172,006 მლნ ლიტრი გავიდა, რაც თანხობრივად

[1] https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf?fbclid=IwAR09q3wZSmKL6mbwk--Mpp2SrioARRuPFgoiAI1Ay61D5q1YQLl-vTOEPrc

110,176 მლნ დოლარია.

საქართველოში მინერალური წყლების სიიაფე და მდიდარი მარაგი მისი რაციონალურად დაეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ექსპორტის მოცულობა, თუმცა,არსებობს რიგი დაბრკოლება [10, გვ. 1404]. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ძირეულიპრობლემები:

 სახელმწიფო მხარდაჭერის სისუსტე;

 ინვესტიციების ნაკლებობა;

 ქართული მინერალური წყლების პროდუქტის საერთაშორისო ბაზრის სტანდარტების შეუსაბამოხარისხი;

 არასაკმარისი მარკეტინგული ღონისძიებები ქართული მინერალური წყლების პროდუქტისპოპულარიზაციისთვის საერთაშორისო მასშტაბით.

დასკვნები და რეკომენდაციები:

 აუცილებელია საქართველოს წყლის რესურსების საფუძვლიანი შესწავლა და მისი ფუნქციონალური კლასტერიზაცია რეგიონების მიხედვით;

 მნიშვნელოვანია მოპოვების წყაროების და ჭაბურღილების ექსპლოატაცია კონცენტრირებულიიყოს, რათა მოხერხდეს მისი ეფექტიანად და დანიშნულებისამებრ გამოყენება. საჭიროა ევროპის ურთიერთთანამშრომლობის კავშირის რეკომენდაციების გათვალისწინება და მინერალური წყლების საერთაშორისო

ბაზრის მარკეტინგული შესწავლა;

 საყურადღებოა, სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური ღონისძიებების დაცვა .

ზემოთ აღნიშნული ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა შეიქმნას სწორი სტრატეგია, რომელიც ქართველ მწარმოებლებს დაეხმარება მსოფლიო ბაზარზე მინერალური წყლების ეფექტიან რეალიზაციაში;

 მნიშვნელოვანია ქართული მინერალური წყლების საინვესტიციო პროექტების მიხედვით შეიქმნას

მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსებული იქნება საქართველოში არსებული მინერალური

წყლების კომპანიების შესახებ დეტალური და საჭირო ინფორმაცია პოტენციური ინვესტორებისთვის მისაწოდებლად;

 ევროპის ქვეყნების გამოცდილება გვკარნახობს, რომ პროდუქტის საექსპორტო პოტენციალის ამაღლების სტრატეგიულ ამოცანად აღიარებულ უნდა იქნეს მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა

არსებული რესურსების ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენების და წარმოების და რეალიზაციის პროცესში ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით.

თავი3. საქართველოს საექპორტო პოტენციალის ფორმირების პერსპექტივები

3.1 საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები

საქართველომ, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მიზნად დაისახა ევროკავშირში გაწევრიანება. 1 წლების მანძილზე გატარებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს შედეგად მოჰყვა საქართველოს დაახლოება ევროკავშირსა და ევროპულ ღირებულებებთან. როგორც სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და ათვისებაში. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საგარეო ვაჭრობის განვითარების მთავარ პრიორიტეტს საქართველოსთვის ექსპორტის ზრდა და იმპორტის კლება წარმოადგენს, ეს მაჩვენებლები რა თქმა უნდა, საქართველოს საგარეო ვაჭრობისთვის არასასურველ შედეგზე მეტყველებს. ამ ვითარების გასაუმჯობესებლად დიდ იმედებს იძლევა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკებების დასრულება, რომელიც თავის მხრივ ასოცირების შეთანხების ნაწილია. დღეისათვის, ევროკავშირი ამა თუ იმ ქვეყანასთან ასოცირების ხელშეკრულებას ძირითადად დებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო ან ადამიანის უფლებათა რეფორმების ვალდებულების სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში ქვეყანას შესაძლოა შესთავაზონ ტარიფებისგან თავისუფალი წვდომა[1]

[1] http://eugeorgia.info/ka/article/433/saeqsporto-potencialis-mqone-agroproduqtebi-da-nishuri-bazrebi-evrokavshirshi/

ზოგიერთ ევროპულ ბაზარზე და ამ მხრივ ფინანსური თუ ტექნიკური დახმარება. ბოლო დროს დადებული ხელშეკრულებები ასევე მოიცავს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ევროკავშირსა და მესამე ქვეყანას შორის. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია IV თავი _ ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს: სურსათის უვნებლობას, კონკურენციის პოლიტიკას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, ფინანსურ მომსახურებას და სხვ. და ითვალისწინებს საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის შესახებ კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის. ეს კი თავის მხრივ, გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე DCFTA-ის

მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხითაც. ქართული წარმოშობის თითქმის ყველა პროდუქტი გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტების) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართული საქონელი და მომსახურება ეტაპობრივად მიიღებს დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში. საქართველო რეალურ სარგებელს მიიღებს ვაჭრობის სფეროში წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების და ევროკავშირის ბაზრის მისაწვდომობის გაადვილების შედეგად. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დროთა განმავლობაში დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს არა მარტო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობაში, არამედ საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაშიც. ამას განაპირობებს ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების მსოფლიო მასშტაბით გათვალისწინება და აღიარება. აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მომხმარებლებს ბევრად დიდი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს: უზრუნველყოფს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას და საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს. ყველაზე სენსიტიური სექტორები სარგებელს ნახავენ ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდების წყალობით, რომლებიც შესაძლებელს გახდის საქართველოს ეკონომიკის დაუბრკოლებელ წინსვლას. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ აწესებს რაიმე შეზღუდვას საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებზე. პირიქით, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეები, მაგალითად, ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის თურქეთი, ხელს უწყობს ვაჭრობის გაფართოებას, ვინაიდან კომპანიებს ექმნებათ შესაძლებლობა ნაკლებ ფასად მოახდინოს საწარმოო პროცესებისა და იმპორტის კომპონენტების გაერთიანება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი

სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის ზრდას, შესაბამისად, ის არ წარმოადგენს საფრთხეს მისთვის ან სხვა ქვეყნებთან მისი ურთიერთობებისთვის. საქართველოს შეუძლია საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით აწარმოოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ან სხვა ახლანდელ თუ მომავალ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა ის სფერო, რომელიც არეგულირებს ვაჭრობას ან შეეხება ქვეყნის უნარს აწარმოოს ვაჭრობა, გარკვეულ რეფორმირებას საჭიროებს. ეს რეფორმები განსაზღვრულია ასოცირების შესახებ შეთანმხების დანართებში და მათი შემუშავება მოხდა საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად ევროკავშირი გეგმავს საქართველოს დასახმარებლად 101 მილიონი ევროს ღირებულების ახალი პროგრამები დაამტკიცოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების განხორციელების მხარდასაჭერად, ასევე მცირე და საშუალო საწარმოების პროგრამების დასაფინანსებლად. აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში საქართველოს მთავრობას მიეცემა საშუალება მეტად დაეხმაროს ქვეყანაში არსებული საექპოსპორტო პროდუქციის წარმოების განვითარებას და მის პოპულალიზაციას საერთაშორისო ბაზარზე. წინა თავებში მოტანილი სტატისტიკური მონაცემების და რეტროსპექტული ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს, რომ ბოლო პერიოდში ევრო- კავშირთან სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. აღნიშნული კი ქვეყნის ექსპორტის გაზრდის რაც კიდევ უფრო მეტ იმედებს იძლევა, მაგრამ ევროკავშირთან ასოცირების გზაზე საქართველოს მოუწევს დიდი ძალისხმევა ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების დაძლევის მიმართულებით საქართველომ უნდა განახორციელოს სერიოზული სამუშაოები ევროკავშირის ევროკავშირის ტექნიკური რეგლამენტების სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედვეობის სისტემებთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით. საქართველო ვალდებულია დაიცვას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და მეთოდები. საქართველოსა და

ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზების ურთიერთდაახლოების პროცესში, მეწარმეებთან და ექსპორტიორობთან კონსულტაციის გზით, უნდა განისაზღვროს ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორები, უნდა დანერგოს სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის განსაძღვრის ევროპული მოდელები, რამაც უნდა უზრუნველყოს დაბალი რისკის მქონე საქონლის სავალდებულო სერთიფიცირებისა და განმეორებით ტესტირების თავიდან აცილება და ა.შ. ევროპულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის პოზიციის დამკვიდრება პირდაპირ კავშირშია მათ მიმართ წაყენებული სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან, რაც ნაკარნახევია, ჯერ ერთი, ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა მიერ საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის სურვილით და მეორე მხრივ, ევროკავშირის ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის შექმნით, არასტანდარტული პროდუქციის ბაზარზე შეღწევისა და დაბალი თვითღირებულების მქონე საქონლის რეალიზაციის გზით, გარკვეული საბაზრო უპირატესობის მოპოვების აღკვეთისათვის. ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების დაძლევის სიძნელე ასევე განპირობებულია იმით, რომ ისინი დამტკიცებულია ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტებისა და ევროკავშირის წევრ-ქვეყნების კანონმდებ-ლობით, რომელიც სისტემატურად იცვლება და საჭიროებს მკაცრ მონიტორინგს საბოლოოდ, ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სწორი გააზრება და პრაქტიკური რეალიზაცია ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების შემდგომ სრულყოფას და ევროკავშირში საქართველოს წარმატებულ ინტეგრაციას, რაც კიდევ უფრო გააფართოვებს საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს.

3.2 საქართველო ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარება

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია 2017 წელს პეკინში საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის

სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა.

დოკუმენტს ხელი საქართველოს მთავრობის სახელით გიორგი გახარიამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით ჩინეთის კომერციის მინისტრმა ჟონგ შანმა მოაწერეს. ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს პირველი ვიცე–პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი, საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი დავით საგანელიძე, ასევე საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა.

„საქართველო არის პატარა და ღია ეკონომიკის ქვეყანა, ჩინეთი არის ის სახელმწიფო, რომელთანაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ექსპორტი პერმანენტულად გვეზრდება. ჩვენ ძალიან დიდ პოტენციალს ვხედავთ მსგავს დიდ ეკონომიკებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების გაფორმებაში, რადგან ვთვლით, რომ საქართველო უნდა გახდეს ყველაზე ხელსაყრელი, კომფორტული და მიმზიდველი პლატფორმა დიდ ეკონომიკებს შორის ვაჭრობისთვის. ასევე ობიექტურად გვესმის, რომ ჩვენი საექსპორტო პოტენციალი გარკვეულწილად შეზღუდულია და ამ ხელშეკრულების მნიშვნელობას ჩვენ არ ვაფასებთ მხოლოდ ექსპორტის მიმართულებით, ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ვიყოთ ეფექტური სავაჭრო პლატფორმაც. ამისთვის დღეს გაფორმებულ ხელშეკრულებას აქვს ძალზედ დიდი მნიშვნელობა და ჩვენ ეფექტურად უნდა გავაგრძელოთ მათი გაფორმებისთვის მუშაობა სხვა ქვეყნებთანაც“ – აღნიშნა გიორგი გახარიამ.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას გაეხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 1,4 მილიარდ მომხმარებელს. ქართველ მწარმოებლებს შესაძლებლობა აქვთ, პროდუქცია ჩინეთის ბაზარზე დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ.

„ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული დღეა საქართველოსთვის საერთაშორისო ინვესტიციების, ვაჭრობისა და ხლხთაშორის ურთიერთობების განვითარებისთვის. ეს არის შეთანხმება, რომელსაც ახალ, გაცილებით უფრო მაღალ დონეზე აყავს ურთიერთობები საქართველოსა და ჩინეთს შორის. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებები დაიწყო 2015 წლის მარტში, როდესაც მაშინდელმა ვიცე–პრემიერმა, ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა ჩინეთის კომერციის მინისტრთან თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით შესაძლებლობების შესწავლის მემორანდუმს მოაწერა ხელი და დღეს უკვე მივიღეთ შეთანხმება, რომელსაც აბსოლუტურად ახალ დონეზე გადაყავს ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის. მინდა როგორც ქართულ, ისე ჩინურ ბიზნესს მივულოცო ამ მნიშვნელოვანი შეთანხმების გაფორმება“ – განაცხადა ხელმოწერის დასრულების შემდეგ დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ხელშეკრულების ფარგლებში ჩინეთში იმპორტისას ქართული პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი გათავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. საექსპორტო პროდუქციას შორისაა ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები, ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული, სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, ფეროსილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები რეკორდულად მოკლე დროში - 7 თვეში დასრულდა. გადაწყვეტილება საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ 2015 წლის 10 სექტემბერს ჩინეთში, ქ. დალიანის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში საქართველოსა და ჩინეთის პრემიერ-მინისტრებს შორის გამართულ შეხვედრაზე მიიღეს. მხარეებს შორის სულ მოლაპარაკებების სამი რაუნდი და ორი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც განიხილეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორიცაა საქონლითა და

მომსახურებით ვაჭრობა, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები, ვაჭრობაში დაცვითი ზომები, წარმოშობის წესები, ინსტიტუციონალური დებულებები და გარემოს დაცვის საკითხები.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების ძირითადი ნაწილის დასრულება გათვალისწინებული იყო 2016 წლის ბოლოსთვის, თუმცა მხარეებს შორის ეფექტიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, აღნიშნული მოლაპარაკებების ძირითად ნაწილზე შეთანხმება მიღწეულ იქნა სამ რაუნდში.

ჩინეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოსა და ჩინეთს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. 2016 წლის მონაცემებით, ჩინეთი საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის ბრუნვის მიხედვით მე-4 პოზიციაზეა, ხოლო ექსპორტის მიხედვით მე-3 ადგილზეა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქციის ექსპორტის ზრდა, როგორიცაა: ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური წყლები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, დაამყარა ჩვენს ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები და გახსნა საელჩო თბილისში. ჩინეთი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველო-ჩინეთის ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფორმატია მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისია, სადაც განიხილება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალური საკითხები.

დასკვნა

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის შესწავლის შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. გასული ათწლეულები ადასტურებენ ეკონომიკური საქმიანობის სწრაფ გლობალიზაციას, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის სახე. თანდათან იზრდება იმ ორგანიზაციების, ქვეყნებისა და სხვა ეკონომიკური აგენტების რიცხვი, რომლებიც ჩართულები არიან გლობალურ ეკონომიკაში. საქართველოშიც იზრდება როგორც ვაჭრობის, ისე ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციის ინტენსივობა. ამასთან, ვაჭრობის გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდა ჩამორჩება ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციას. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა.

2. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ბაზრის საკითხები, ორგანიზაციულ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების ნაკრების ფორმულირება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების გადიდებას არსებული ობიექტური უპირატესობების გამოყენებით, წარმოადგენს მეტად აქტუალურსა და დროულს. იგი დაეხმარება ქვეყანას ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში, როგორიცაა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა მსოფლიო ბაზრებზე, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების დაბალანსებულ განვითარებასა და მოსახლეობაში სოციალური დაძაბულობის შემცირებას, ყოველივე ეს კი მოითხოვს საკითხის შესაბამის მეცნიერულ გააზრებას.

3. მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრირება საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის

გადასაჭრელად აუცილებელია საბაზრო პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მიმართულებით WTO-ში გაწევრიანება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

4. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

5. საექსპორტო აგროპროდუქციის წარმოების გაზრდისათვის აუცილებელია რეგიონებში თვითმმართველობებთან შეიქმნას ეკონომიკური სააგენტოები, რომლებიც მოახდენენ ინფორმაციის შეგროვებასა და ექსპორტის ხელშემწყობი პროექტების დაგეგმვას.

6. საქართველოს საგარეო ვაჭრობის საექსპორტო სტატისტიკის მონაცემთა დამუშავებისათვის შეიქმნას სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც დღეისათვის წარმოებულ სამუშაოებს ავტომატურს გახდის, რაც შედარებით ნაკლები დროითი და საკადრო რესურსების დანახარჯების პირობებში უფრო მაღალი ხარისხის ინფორმაციის მიღების საშუალებას მოგვცემს.

7. გაკეთებული ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების ზრდაში მთავარ შემაფერხებელ, კრიტიკულ საკითხს წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის ხარისხი. წარმოებაში არსებული ჩამორჩენილი ტექნოლოგიები, მოძველებული დანადგარები და აღჭურვილობა, გამოუცდელობა თანამედროვე მენეჯმენტში და არსებული საერთაშორისო ტენდენციების არასაკმარისი ცოდნა აფერხებს მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას. საერთაშორისო ბაზარზე

კონკურენტუნარიანი გადამუშავებული პროდუქციის გატანა, როგორიცაა წვენები, კონცენტრატები და სხვა მოითხოვს მოდერნიზებულ გადამამუშავებელ საწარმოო ციკლს. ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობის როლი გადამამუშავებელი მრეწველობის მდგრად განვითარებაში მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებსა და კოოპერატივებს პირველადი წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც მდგომარეობს საერთაშორისო სტანდარტების შემოღებაში, საქონლის შეფუთვისა და ტრანსპორტირების მოწესრიგებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ღაღანიძე გ. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები-. თბილისი, 2017 წ.
https://cu.edu.ge/files/Docs/Reasearch/%E1%83%92.%20%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20%E2%80%93%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%AF%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E2%80%992%E2%80%99.pdf

2. ბიძინაშვილი თ. ლომთაძე მ. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში- თბილისი, 2017 წ.
https://unigeo.edu.ge/ge/attachments/TeaBidzinashvili-monografia.pdf.

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/

4. *საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება.*http://mfa.gov.ge/News/saqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobi.aspx?CatID=5

5. გაბულდანი მ. საექსპორტო პოტენციალის მქონდე აგროპროდუქტები და ნიშური ბაზრები ევროკავშირში. http://eugeorgia.info/ka/article/433/saeqsporto-potencialis-mqone-agroproduqtebi-da-nishuri-bazrebi-evrokavshirshi/

6. http://www.tabula.ge/ge/story/131362-kvirikashvili-dabalansebuli-sagareo-politikit-ghvinis-industria-aghordzinda.

7. არველაძე ლ. საქართველოს ექსპორტის პრობლემები და ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები. თბილისი, 2016 წ. https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export.

8. საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. გ. ნანობაშვილი 2017. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH01327124d82fcbd27ef5b151.60&gt=1

9. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

10. https://www.kvirispalitra.ge/economic/31743-ra-strategiuli-da-komerciuli-mnishvneloba-eqneba-anakliis-ports.html?fbclid=IwAR3kb0n7kPJJ4lKb7xsTMlTCeMI6pUE9vm9X1PMFzBpoe-vbQC_YA2PYWTA

11. http://georgianwine.gov.ge/Ge/News/26631

12. http://bfm.ge/2018-wels-qartuli-tkhilis-eqsporti-305-it-shemcirda/

13. http://eugeorgia.info/ka/article/433/saeqsporto-potencialis-mqone-agroproduqtebi-da-nishuri-bazrebi-evrokavshirshi/

14. თ. შენგელია ო. გიგიაშვილი, რ, ფუტკარაძე, ჟ. თოლორდავა და სხვა. საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი. თბილისი, 2011 წ.

15. http://data.gov.ge/DataSets/Browse/a134e575-3b55-4ca0-9bbf-2f067a1487ed

16. http://www.tabula.ge/ge/story/151705-ghvinis-saagento-bolo-6-tveshi-ashsh-is-chinetis-da-polonetis-bazrebze-eqsporti

17. https://forbes.ge/news/3339/Rvinis-10-yvelaze-msxvili-eqsportiori-kompania

18. https://www.geostat.ge/media/23242/saqonlit-sagareo-vachroba_saqartveloshi-19.04.2019%28geo%29.pdf?fbclid=IwAR1R0wmY0Z5HkDBXM35TwLCAp3MaK4xgPf60AMZEN2UMWrYWTtYJzcocDI

19. https://jamnews.net/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%91/?lang=ka

20. http://www.moa.gov.ge/

21. https://factcheck.ge

22. https://imedinews.ge/ge/ekonomika/94122/saqartvelodan-chais-eqsporti-gaormagda

23. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf?fbclid=IwAR09q3wZSmKL6mbwk--Mpp2SrioARRuPFgoiAI1Ay61D5q1YQLl-vTOEPrc